

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2010, # 6

## სისხლის სამართლის პროცესი

1. განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება საქმის გარემოებათა გამოკვლევისათვის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის ყოველმხრივი, ობიექტური და სრული
2. განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლო განხილვისათვის საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით
3. სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრედების ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან

# 1. განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის

## განჩინება

#959-აპ-09

23 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

### აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ივლისის განაჩენით დ. თ-ა ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც მას სასჯელად განესაზღვრა 8 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 24 ოქტომბრიდან.

დ. თ-ას სასჯელის მოხდა განესაზღვრა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში, მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით.

დ. თ-ას "ნარკოტიკული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ" 2007 წლის 3 ივლისის საქართველოს კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, 5 წლით ჩამოერთვა: სატრანსპორტო საშუალების მართვის, საექიმო, საადვოკატო, პედაგოგიურ და საგანმანათლებლო დაწესებულებებში საქმიანობის, სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის, სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში - საჯარო ხელისუფლების ორგანოებში საქმიანობის, პასიური საარჩევნო, იარაღის დამზადების, შეძენის, შენახვისა და ტარების უფლებები.

ყადაღა მოეხსნა ზ. ს-ისა და მ. წ-ის სახელზე რეგისტრირებულ ა/მანქანას, რომელიც საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა დაუბრუნდეს მის კანონიერ მფლობელს.

განაჩენით დ. თ-ას მსჯავრი დაედო დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შეძენა-შენახვაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. თ-ამ, როგორც ნარკოტიკული საშუალების აქტიურმა მომხმარებელმა, დაუდგენელ დროსა და ვითარებაში უკანონოდ შეიძინა დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა დაკავებამდე.

2008 წლის 24 ოქტომბერს ძველი თბილისის შს სამმართველოს პირველ განყოფილებაში შესული ინფორმაციისა და მოწმე ი. გ-ის ჩვენების საფუძველზე, თბილისში, კლუბ „...“ მიმდებარე ტერიტორიაზე, ექვმიტანილის სახით დააკავეს დ. თ-ა, რა დროსაც მის მფლობელობაში არსებული ავტომანქანის ჩხრეკისას საბარგულის მარჯვენა მხარეს მდებარე ე.წ. „დომგრატის“ შესანახი ყუთიდან ამოიღეს 1 ფირფიტა შვიდი ოვალური ფორმის აბით, რაც სასამართლო-ქიმიური ექსპერტიზის #1282/სქ დასკვნის თანახმად, წარმოადგენს ნარკოტიკულ საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველ პრეპარატს, თითოეულ აბში ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინის“ შემცველობა შეადგენს 0, 008 გრამს, საერთო წონით - 0, 056 გრამს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ. ს-მა, რომელმაც ითხოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ივლისის განაჩენის სასჯელის ნაწილში ცვლილების შეტანა მისი დამძიმების თვალსაზრისით და დ. თ-სათვის სასჯელად 10 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა, რადგან მიაჩნია, რომ განაჩენით დ. თ-სათვის დანიშნული სასჯელი - 8 წლით თავისუფლების აღკვეთა, არის ლმობიერი, არ შეესაბამება დამნაშავეს მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, ხოლო გადაწყვეტილება დანაშაულის ჩადენის ირადამ მიჩნეული ავტომანქანა „მერსედესის“ მისი კანონიერი მფლობელისათვის დაბრუნების თაობაზე, არის უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი, რადგან ჩხრეკისას ავტომანქანა „მერსედესში“ სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს ნარკოტიკული საშუალება „ბუპრენორფინი“. ამდენად, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე აპელანტმა ითხოვა დ. თ-სათვის დამატებითი სასჯელის სახით დანაშაულის ჩადენის ია-

რალად მიჩნეული ა/მანქანის ჩამორთმევა და მსჯავრდებულისათვის სასჯელის მოხდა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებაში მის გამოჯანმრთელებამდე, რის შემდეგაც მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდა უნდა გააგრძელოს საერთო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენით თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ივლისის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორმა ლ. ს-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

პროკურორმა ითხოვა ღმობიერების მოტივით განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად, დანაშაულის ჩადენის იარაღად მიჩნეული ა/მანქანის ჩამორთმევისა და სასჯელის გამკაცრების მიზნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ. ს-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენი დ. თ-ას მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - ი. გ-ის, გ. ჩ-ის, რ. ს-ის, ა. ხ-ის, დ. ნ-ასა და ა. წ-ის ჩვენებებით, საქართველოს შსს საქსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ქიმიური ექსპერტიზის 2008 წლის 24 ოქტომბრის #1282/სქ დასკვნით, ავტომანქანის ჩხრეკის ოქმით, „სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2009 წლის 6 ივლისის სტაციონარული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის #783/26-76 დასკვნით, რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის დროს მსჯავრდებული იმყოფებოდა შერაცხად მდგომარეობაში, იზოლაციის პირობებში კი მოხდა დაავადების გამწვავება და ამჟამად დ. თ-ას, ფსიქიკური მდგომარეობის გამო, არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს და უხელმძღვანელოს მას, მისცეს სწორი ჩვენება და მონაწილეობა მიიღოს სასამართლო მოქმედებებში. ასევე საქმის სხვა მასალებით, მსჯავრდებულისთვის საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლის II ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

პალატა არ ეთანხმება ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ. ს-ის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას ღმობიერების მოტივით უკანონო განაჩენის გაუქმებისა და სასჯელის გამკაცრების მიზნით საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოში დაბრუნების შესახებ, უსაფუძვლოდის გამო:

საქართველოს სსკ-ის 565-ე მუხლით: „მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმისა და პიროვნების შეუსაბამოდ ითვლება სასჯელი, რომელიც, თუმცა არ სცილდება კანონით გათვალისწინებული სანქციის ფარგლებს, მაგრამ თავისი სახითა და ზომით, მეტისმეტი სიმკაცრის ან სიმსუბუქის გამო, აშკარად უსამართლოა“. აღნიშნულის გათვალისწინებით, ასევე მოცემული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების მხედველობაში მიღებით, დამნაშავის ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, რომ იგი დაავადებულია პარანოიდური შიზოფრენიით, პალატა თვლის, რომ დ. თ-სათვის პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დანიშნული სასჯელი არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უსამართლოდ. იგი სავსებით უზრუნველყოფს სსკ-ის 39-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელის მიზნების განხორციელებას, როგორცაა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, დამნაშავის რესოციალიზაცია და სამართლიანობის აღდგენა.

საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად, განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას. საქმეში კი არ არსებობს უტყუარი მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ დ. თ-ა არ სარგებლობდა ზემოხსენებული ავტომანქანით. იმავე კოდექსის 496-ე მუხლის III ნაწილის თანახმად კი: „სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ მისი დასკვნები ემყარება სასამართლო სხდომაზე განხილულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას და ეს მტკიცებულებები საკმარისია სისხლის სამართლის საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად“.

მ. წ-ის ჩვენებით დ. თ-ა და მ. წ-ე დაახლოებით 10-11 წელია არარეგისტრირებულ ქორწინებაში იმყოფებიან და ცხოვრობენ ერთად. მისი განმარტებით თავისი კუთვნილი ავტომანქანით ხან თვითონ დადიოდა, ხან მისი მეუღლე - დ. თ-ა.

მართალია, მხარეებს შორის არ არსებობს არავითარი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც დ. თ-ას მიანიჭებდა ფლობასთან დაკავშირებით რაიმე სახის უფლება-მოვალეობას, მაგრამ უნდა ით-

ქვას, რომ მსჯავრდებულის დაკავების დღესაც ხსენებული ავტომანქანა "მერსედესი" იმყოფებოდა დ. თ-ას კანონიერ მფლობელობაში.

პროკურორის აზრით, მსჯავრდებულმა ავტომანქანა გამოიყენა დანაშაულის ჩადენის იარაღად, რის გამოც მასზე უნდა გავრცელებულიყო საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მოთხოვნა. ამიტომ მისი დაბრუნება კანონიერი მფლობელისათვის მას არასწორად მიაჩნია.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის I ნაწილის თანახმად: „ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას“. იმავე მუხლის II ნაწილის საფუძველზე კი: „დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისათვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან ამისათვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ“.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები, გაარკვიოს იყო თუ არა დ. თ-ას კანონიერ მფლობელობაში ავტომანქანა "მერსედესი" და კანონიერი მფლობელისათვის მისი ჩამორთმევა შეესაბამება თუ არა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მოთხოვნებს, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

ძველი თბილისის რაიონული პროკურატურის პროკურორ ლ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენი დ. თ-ას მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის**

#### **განჩინება**

#156-აპ-10

29 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**
- ვ. როინიშვილი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. ტ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენზე.

### **აღწერილობითი ნაწილი:**

გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განაჩენით ვ. ტ-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2009 წლის 29 სექტემბრიდან.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „აკს-74“, გამოშვებული 1974 წელს და აღნიშნული ავტომატისათვის განკუთვნილი ვაზნები, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, განკარგვის მიზნით, გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სამსახურს.

განაჩენით მას მსჯავრი დაედო ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარებაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

ვ. ტ-მა გამოიბოძა გაურკვეველ ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინა ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი „აკს-74“ და აღნიშნული იარაღისათვის განკუთვნილი 58 საბრძოლო ვაზნა, რომლებსაც მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

2009 წლის 29 სექტემბერს, დაახლოებით 21.10 საათზე, გორის რაიონის სოფელ ... შსს გორის რაიონული სამმართველოს პოლიციის #2 განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ვ. ტ-ი მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი ზემოხსენებული ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით, ორი მჭიდითა და 58 საბრძოლო ვაზნით, რომელსაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ინახავდა და ასევე მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა.

ბალისტიკური ექსპერტიზის #81/ზ დასკვნით „ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ცეცხლსასროლი იარაღი განეკუთვნება „აკს-74“ მოდელის „კალაშნიკოვის“ კონსტრუქციის ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს და ვარგისია სროლისათვის, როგორც ერთჯერად, ისე - ავტომატურ რეჟიმში, ხოლო 58 ვაზნა ვარგისია გამოსაყენებლად და მიეკუთვნება საბრძოლო მასალათა კატეგორიას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ქ. გ-ამ, რომელმაც ითხოვა გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების მიზნით, იმ მოტივით, რომ მსჯავრდებულს ჰყავს მეუღლე, ორი შვილი, დაავადებულია დიაბეტით, არ არის წარსულში ნასამართლევ, აღიარა და მოინანია დანაშაული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბერის განაჩენით გორის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 12 ნოემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ვ. ტ-მა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას და ითხოვა განაჩენში ცვლილების შეტანა სასჯელის შემსუბუქების მიზნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენი ვ. ტ-ის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მსჯავრდებულ ვ. ტ-ის აღიარებითი ჩვენებით, ვ. ტ-ის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებით, ბალისტიკური ექსპერტიზის 2009 წლის 30 სექტემბრის #81/ზ დასკვნით, ნივთმტკიცებად ცნობის შესახებ დადგენილებით, მოწმეების - დ. ჭ-ის, ზ. ჯ-ის ჩვენებებით და საქმეზე არსებულ სხვა მასალებით, რასაც არც მხარეები ხდიან სადავოდ, მსჯავრდებულისთვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახსიათებს მის პიროვნებას.

ვ. ტ-მა აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, პირველადაა სამართალში, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი, აქვს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები.

საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ საქმის განხილვის დროს არ გაითვალისწინა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და საზოგადოებრივი საშიშროება, არ გამოიკვლია მსჯავრდებულის პიროვნული მახასიათებლები და მის მიმართ სასჯელის დანიშვნისას არ მისცა მათ შესაბამისი სამართლებრივი შეფასება.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვ. ტ-ის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ვ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 21 დეკემბრის განაჩენი ვ. ტ-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის**

**განჩინება**

#792-აპ-09

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

**პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),**

**დ. სულაქველიძე,**

**ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ვ. შ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. გ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენით ვ. შ-ე გამართლდა საქართველოს სსსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, იმავე მუხლის II ნაწილის „გ“ და III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებებში.

ვ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა: საქართველოს სსსკ-ის 120-ე მუხლით (3 ეპიზოდი, დაზარალებულების: მ. მ-ის, გ. მ-ის, ლ. ბ-ის ჯანმრთელობის განზრახ მსუბუქი დაზიანების გამო) - 6-6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის I ნაწილით - 6 თვით, ხოლო 236-ე მუხლის II ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რისთვისაც საქართველოს სსსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც იმავე კოდექსის 88-ე მუხლის IV ნაწილის საფუძველზე შეუმცირდა ერთი მეოთხედით და ვ. შ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 3 წლითა და 9 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომელშიც მოხდილად ჩაეთვალა დაკავებისა და პატიმრობაში ყოფნის პერიოდი - 4 თვე და 1 დღე, ხოლო დარჩენილი 3 წელი, 4 თვე და 29 დღე ჩაეთვალა პირობით, 6 წლის გამოსაცდელი ვადით.

მასვე საქართველოს სსსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 2 000 ლარი, რომლის გადახდა დაეკისრა მის მშობელს - ე. გ-ეს.

ვ. შ-ე გათავისუფლდა სასამართლო სხდომის დარბაზიდან.

მას ბრალი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის:

2009 წლის 4 იანვარს ვ. შ-ე დასასვენებლად იმყოფებოდა ბ-ის რაიონში. დაახლოებით 19.30 საათზე იგი სეირნობდა ა-ის ქუჩაზე. იმავე ქუჩაზე, ტროტუარზე, შემხვედრი მიმართულებით, სასტუმრო „თ-ის“ მხრიდან მოდიოდა ბ-ში დასასვენებლად მყოფი, ქ. თბილისში მცხოვრები გ. მ-ე თავის მეგობრებთან - ლ. ბ-სთან და ა. გ-სთან ერთად. სეირნობის დროს ვ. შ-ემ მხარი გაართვა გ. მ-ეს, რის გამოც მათ შორის დაიწყო კამათი. ვ. შ-ემ ამოიღო გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მართლსაწინააღმდეგოდ შექმნილი „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელსაც ასევე უკანონოდ ინახავდა და ატარებდა და ორჯერ ესროლა გ. მ-ეს მარჯვენა თეძოსა და ბარძაყის არეში.

მიღებული დაზიანებების შედეგად გ. მ-ე დაეცა, ხოლო ვ. შ-ემ სცადა შემთხვევის ადგილიდან მიმალვა. მას გამოეკიდა ლ. ბ-ი, ვ. შ-ემ მასაც ერთხელ ესროლა და მარცხენა მუხლი დაუზიანა.

აღნიშნულ ფაქტს შეესწრნენ შსს ბ-ის რაიონული სამმართველოს მუშაკები, რომლებიც ასრულებდნენ სამსახურებრივ მოვალეობას და დაკავების მიზნით დაედევნენ ვ. შ-ეს. ამ უკანასკნელმა მათაც ესროლა ცეცხლსასროლი იარაღიდან, რის შედეგადაც შსს ბ-ის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებელი მ. მ-ე დაიჭრა მუცლის არეში.

ვ. შ-ემ გადააგდო „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და სცადა მიმალვა, მაგრამ იგი დააკავეს პოლიციის მუშაკებმა.

გ. მ-ემ, ლ. ბ-მა და მ. მ-ემ მიიღეს ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანებები. ისინი გადაიყვანეს ბორჯომის რაიონულ საავადმყოფოში, სადაც მათ აღმოუჩინეს სამედიცინო დაზიანება.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სახელმწიფო ბრალმდებელმა და მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა.

სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა მსჯავრდებულის საუარესოდ, კერძოდ: ვ. შ-ის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით, მე-19, 109-ე მუხლის II ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, შეკრების წესით, ვ. შ-სათვის სასჯელის ზომად 21 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო დამატებით სასჯელად ჯარიმის - 4 000 ლარის დაკისრება. საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის IV ნაწილის თანახმად, საბოლოოდ ვ. შ-სათვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა და დამატებით სასჯელად ჯარიმის - 4 000 ლარის დაკისრება.

აპელანტმა აღნიშნა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი არის უკანონო, დაუსაბუთებელი. იგი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან და ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდებს. ამიტომაც ახალციხის რაიონულმა სასამართლომ სრულიად უკანონოდ დააკვალიფიცირა ვ. შ-ის ქმედება საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით.

მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა საქართველოს სსკ-ის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის გამოყენებით ვ. შ-ის გათავისუფლება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან სსკ-ის 120-ე მუხლით (სამივე ეპიზოდში) მსჯავრდების ნაწილში, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის I, II ნაწილებით მსჯავრდებას ადვოკატი სადავოდ არ ხდის.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განაჩენით ახალციხის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 5 ივნისის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით:

ვ. შ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის I ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში.

ვ. შ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლის II ნაწილის „გ“ და იმავე მუხლის III ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის I, II ნაწილებით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის I ნაწილით, შეკრების წესით, მას სასჯელად განესაზღვრა 19 წლით თავისუფლების აღკვეთად და ჯარიმა - 2 000 ლარი.

საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის IV ნაწილის გამოყენებით ვ. შ-ეს საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 14 წლითა და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ასევე ჯარიმა - 2 000 ლარი.

იგი სასჯელს იხდის დაკავების დღიდან (2008 წლის 4 იანვრიდან). მასვე სასჯელის მოხდის ვადაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის პერიოდი 2009 წლის 4 იანვრიდან - 2009 წლის 5 ივნისის ჩათვლით.

საქმეზე ნივთმტკიცებად ცნობილი „ნაგანის“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი, რომელიც ინახება შსს სამცხე-ჯავახეთის მთავარ სამმართველოში, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგ უნდა გადაეცეს სახელმწიფოს უსასყიდლოდ.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ვ. შ-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-ემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა აღნიშნა, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, მან განაჩენის დადგენისას არასწორად გამოიყენა სისხლის სამართლის კანონი, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე და ნაცვლად საქართველოს სსკ-ის მე-19, 109-ე მუხლით წარდგენილ ბრალდებებში გამართლებისა, დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი. ვ. შ-ის ქმედებას, მისი ავადმყოფური ცნობიერებიდან გამომდინარე, ჰქონდა მოტივაცია (თავდასხმისაგან თავის დაცვა). ამიტომ მისი ქმედება არ შეიძლება დაკვალიფიცირდეს მკვლელობის მცდელობად. ადვოკატი ითხოვს, მსჯავრდებულის ქმედება დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 120-ე მუხლით (სხეულის განზრახ მსუბუქი დაზიანება) და რადგან დანაშაულის ჩადენის დროს იგი იყო შეზღუდული შერაცხადობის მქონე არასრულწლოვანი, სსკ-ის 35-ე მუხლის III ნაწილის თანახმად, უნდა განთავისუფლდეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, ხოლო 236-ე მუხლის I, II ნაწილებით კი უნდა შეეფარდოს პირობითი მსჯავრი.

ამდენად, ადვოკატმა ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მალეები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განაჩენი ვ. შ-ის მიმართ გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ წინასწარი და სასამართლო გამოძიებისას მოპოვებულ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან: მსჯავრდებულ ვ. შ-ის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, დედის - ე. გ-ის ჩვენებებიდან, დაზარალებულების: მ. მ-ის, ლ. ბ-ის, გ. მ-ის ჩვენებებიდან, შსს ბორჯომის რაიონული სამმართველოს განყოფილების უფროსის - დ. ი-ის ჩვენებიდან, ამოღების, შემთხვევის ადგილის დათვალიერების, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმებიდან, ქიმიური ექსპერტიზის #81/სქ, ბალისტიკური ექსპერტიზის #2/ზ, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის #12, 13, 14, ამბულატორიული სასამართლო-ფსიქიატრიული ექსპერტიზის #387/26-17 დასკვნებიდან, ალტერნატიული სასამართლო-ფსიქოლოგიური ექსპერტიზის 2009 წლის 4 მაისის #34 დასკვნიდან (რომლის მიხედვითაც, დანაშაულის ჩადენის დროს ვ. შ-ე იმყოფებოდა ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში, რომელიც ხასიათდება ძლიერი ემოციური გამღიზიანებლობით, აღქმის ფრაგმენტულობით, ქცევის იმპულსურობით, ნებითი კონტროლის მკვეთრი დაქვეითებით, საკუთარი ქმედებისა და მოსალოდნელი პროგნოზის უგულვებელყოფით, ჩადენილი დანაშაულებრივი ფაქტის ნაწილობრივი ამნეზიით, დანაშაულისა და სინანულის განცდით) და საქმის სხვა მასალებიდან უტყუარად არ გამომდინარეობს სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განაჩენით დადგენილად მიჩნეული ფაქტობრივი გარემოებანი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ სამივე დაზარალებულს მიღებული აქვს სხეულის მსუბუქი დაზიანებები.

სასამართლოში საქმის განხილვის დროს სამივე დაზარალებულმა ცალსახად დაადასტურა, რომ ვ. შ-ეს მათი მოკვლის განზრახვა არ ჰქონია, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გასროლის შემდეგ კი არ გაიქცეოდა, არამედ განზრახვას სისრულეში მოიყვანდა, რადგან დანაშაულებრივი ქმედების გაგრძელებაში ხელს არავინ უშლიდა. უფრო მეტიც, დაზარალებულებმა - ლ. ბ-მა და გ. მ-ემ ჩვენებაში განაცხადეს, რომ ცუდი განათების პირობებში შეუძლებელი იყო იმ პიროვნების დანახვა, რომელმაც ესროლათ. გ. მ-ემ კი აღნიშნა: "მე არ ვიცი, ვინ დამჭრა და როგორ ამოვიცნობდი".

ბალისტიკური ექსპერტიზის #2/ზ დასკვნით დადგენილია, რომ ვ. შ-ეს იარაღში კიდევ ჰქონდა გაუსროლელი ტყვიები.

ვ. შ-ის მიერ, როგორც გამოძიებისათვის, ისე სასამართლოსათვის მიცემული ჩვენებებით დადგენილია, რომ მას, მისი ავადმყოფური მდგომარეობიდან გამომდინარე, დაეწყო "შიშები" და ეჩვენებოდა, რომ თავს ესხმოდნენ და იგი თავს იცავდა. მას არავის მოკვლის განზრახვა არ ჰქონია და ისროდა მხოლოდ ფეხების მიმართულებით, რასაც დაზარალებულები გ. მ-ე და ლ. ბ-იც ადასტურებენ.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავში-



რებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საქართველოს სსკ-ის 503-ე მუხლის II ნაწილის თანახმად: „გამამტყუნებელ განაჩენს არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ვარაუდი. იგი დგინდება მხოლოდ იმ პირობით, თუ სასამართლო განხილვის დროს დამტკიცდა განსასჯელის მიერ დანაშაულის ჩადენა უტყუარ მტკიცებულებათა საფუძველზე“. იმავე კოდექსის 132-ე მუხლის V ნაწილის შესაბამისად: „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისათვის საჭიროა ეჭვის გამომრიცხავ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“, ასევე მე-19 მუხლის III ნაწილის თანახმად: „განაჩენი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობას“, ხოლო მე-10 მუხლით: „ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“.

სასამართლომ არ აღმოფხვრა მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობა, რაც ეჭვქვეშ აყენებს სასამართლოს დასკვნებს, რითაც დაარღვია საქართველოს სსკ-ის 539-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა. იმავე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად კი: „სასამართლომ ეჭვი არ განმარტა მსჯავრდებულის სასარგებლოდ“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ საქმე განიხილა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და საპროცესო დარღვევებით, ძირითადად – ბრალდების მოწმეებზე დაყრდნობით, რამაც არსებითად იმოქმედა საქმის განხილვის შედეგზე.

რამდენადაც საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი დაუსაბუთებელია, მიიღო გადაწყვეტილება განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ.

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმისა და საკასაციო საჩივარში მითითებული გარემოებები ვ. შ-ის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით, გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები. ხელახალი სასამართლო გამოძიების ჩატარების დროს კვლავ უნდა დაიკითხონ მოწმეები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად სააპელაციო პალატამ უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ ვ. შ-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ი. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივლისის განაჩენი ვ. შ-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის**

**განჩინება**

#992-აპ-09

3 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ი. ტყეშელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საბრალდებო დასკვნით დ. კ-ძეს ბრალი დაედო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის - მნიშვნელოვანი ზიანის გამოწვევით თაღლითობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2002 წლის პირველ ნახევარში ნ. ჭ-ძემ დ. კ-ძისაგან 1600 აშშ დოლარად შეიძინა ქ. ქუთაისში, ... გამზირის მეორე შესახვევის #3\17-ში, მდებარე ნ. ლ-შვილის კუთვნილი საცხოვრებელი ბინა, რომელიც ამ უკანასკნელს ყოველგვარი სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების გარეშე, ზეპირსიტყვიერად გადაცვლილი ჰქონდა დ. კ-ძის კუთვნილ საცხოვრებელ ბინაში, მდებარე ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში. ზემოაღნიშნული ბინის შეძენისას დ. კ-ძესა და ნ. ჭ-ძეს შორის სათანადო წესით არ მომხდარა სანოტარო ხელშეკრულების დადება და ბინის გადაფორმება. 2005 წლის 9 ივლისს დ. კ-ძემ ი. მ-ძისაგან სანოტარო წესით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე სესხად მიიღო ი. მ-ძის ძმის - ი. მ-ძის კუთვნილი 3000 აშშ დოლარი 4%-იანი სარგებლით. სანაცვლოდ მან სესხის გადახდის უზრუნველსაყოფად ი. მ-ძეს მისცა მინდობილობა განკარგვის უფლებით მის სახელზე რეგისტრირებულ, ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში მდებარე საცხოვრებელ ბინაზე, რომელიც ნ. ლ-შვილს არაოფიციალურად ჰქონდა გასხვისებული მერი წ-ძეზე. ვინაიდან ი. მ-ძეს დ. კ-ძემ არ გადაუხადა ნასესხები თანხა - 3000 აშშ დოლარი, ამ უკანასკნელის მიერ მიცემული მინდობილობის საფუძველზე, ი. მ-ძემ 2006 წლის 16 იანვარს სანოტარო წესით გადაუფორმა თავის ძმას - ი. მ-ძეს ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. 2006 წლის 14 აგვისტოს ი. მ-ძემ სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში მდებარე საცხოვრებელი ბინიდან დ. კ-ძისა და მასთან ერთად მცხოვრები პირების გამოსახლება. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 5 თებერვლის განჩინებით დამტკიცდა მორიგება მხარეებს შორის, რომლის მიხედვით, ბინიდან არგამოსახლებისა და ბინის უკან დაბრუნების სანაცვლოდ დ. კ-ძემ აიღო ვალდებულება, რომ იგი ი. მ-ძეს 2008 წლის 1 თებერვლისათვის გადაუხდოდა 3000 აშშ დოლარს. დ. კ-ძემ არ შეასრულა აღნიშნული ვალდებულება, რის გამოც ი. მ-ძემ ბინის დაცლის პრეტენზია წაუყენა ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში მცხოვრებ პირებს. ნ. ჭ-ძე, იმისათვის, რათა შეენარჩუნებინა კეთილსინდისიერად შეძენილი ბინა, მდებარე ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\17-ში, 2008 წლის 11 თებერვალს იძულებული გახდა, ი. მ-ძისათვის გადაეხადა დ. კ-ძის მიერ ი. მ-ძისაგან ნასესხები 3000 აშშ დოლარი. ამ გზით დ. კ-ძემ, თაღლითური დაუფლებით, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა ნ. ჭ-ძის კუთვნილი თანხა - 4746,9 ლარის ეკვივალენტი 3000 აშშ დოლარი.

დ. კ-ძის ბრალდების საქმე განიხილა ქუთაისის საქალაქო სასამართლომ, რომელმაც 2009 წლის 15 მაისის განაჩენით მას მსჯავრი დასდო რა წარდგენილი ბრალდების მიხედვით, დაასკვნა, რომ განსასჯელმა დ. კ-ძემ, ისარგებლა რა ნ. ჭ-ძის ნდობით, მიიღო მისგან ბინის საფასურის უმთავრესი ნაწილი - 1450 აშშ დოლარი და შემდგომ, ყველასაგან მალულად, ისე, რომ არ შეატყობინა არც ნ. ჭ-ძეს, არც ნ. ლ-შვილს და არც #3\14-ში მცხოვრებ მ. წ-ძეს, მართალია, დოკუმენტურად მის საკუთრებაში არსებული, მაგრამ ფაქტობრივად უკვე ნ. ლ-შვილისათვის გადაცვლილი და ამ უკანასკნელის მიერ შემდეგ მ. წ-ძისათვის მიყიდული, #3\14-ში მდებარე ბინა ხელახლა გაასხვისა ი. მ-ძეზე. დ. კ-ძის მიერ განხორციელებული ამ ქმედებებით დაზარალებულ ნ. ჭ-ძეს მიადგა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი და ეს ქმედება სწორადაა დაკვა-

ლიფიცირებული საბრალდებო დასკვნით როგორც თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

სასამართლომ დ. კ-მე დამნაშავედ ცნო საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში და მას სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 4 წლისა და 6 თვის ვადით, ასევე ჯარიმა - 3000 ლარის ოდენობით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. კ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას შემდეგი მოტივების საფუძველზე: საქართველოში მოქმედი სამოქალაქო სამართლის მიხედვით, ბინა, რომელიც მან მინდობილობით გასცა სხვა პირებზე, წარმოადგენდა მის საკუთრებას, ისარგებლა რა უძრავი ქონების გასხვისების კანონით გათვალისწინებული უფლებით; აღნიშნულის გამო მას და დაზარალებულ ნ. ჭ-მეს შორის წარმოშობილი ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო დავის საქმეს და მის ქმედებაში არ მოიპოვება თაღლითობის ნიშნები; სასამართლომ არც ის გარემოება გაითვალისწინა, რომ დაზარალებულმა ნ. ჭ-მემ 3000 აშშ დოლარი ი. მ-მეს გადაუხადა თავისი საქმის მოსაგვარებლად, რის თაობაზეც ნ. ჭ-მეს მისგან არ ჰქონდა მიღებული თანხმობა ან დავალება და ასეთი რამ მისთვის არც უთხოვია, რის გამოც აღნიშნული თანხა მას ბრალად ვერ შეერაცხება.

სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენით არ დააკმაყოფილა აპელანტის მოთხოვნა, ხოლო მსჯავრდებულ დ. კ-მის ბრალეულობა თაღლითობის ჩადენაში დადასტურებულად მიიჩნია. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში შეიტანა ცვლილებები მსჯავრდებულ დ. კ-მის სასიკეთოდ, კერძოდ: მისი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტიდან (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) გადააკვალისფიცირა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის "გ" ქვეპუნქტზე (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), ხოლო სასჯელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 3 წლისა და 6 თვის ვადით. ამავე დროს დააკმაყოფილა დაზარალებულ ნ. ჭ-მის სასარჩელო მოთხოვნა და მის სასარგებლოდ მსჯავრდებულ დ. კ-მეს დაეკისრა 2850 აშშ დოლარის ეკვივალენტი - 4509,55 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა დ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმავე მოტივებით, რაზეც მას მითითებული ჰქონდა ამავე საქმეზე შეტანილ სააპელაციო საჩივარში.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. კ-მის მიმართ, მიიჩნია, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ დ. კ-მის ბრალდების საქმის განხილვისას და მის მიმართ განაჩენის დადგენისას არ იქნა დაცული საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით, იმავე კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით, 496-ე მუხლითა და 538-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები, რამაც არსებითი გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე. სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა და არ გაარკვია: საქმეზე დაზარალებულად ცნობილმა ნ. ჭ-მემ დ. კ-მის ნაცვლად ი. მ-მეს 3000 აშშ დოლარი გადაუხადა თუ არა დ. კ-მის მითითებით, თანხმობით, ან თუნდაც აღნიშნულის თაობაზე თუ იყო ან შეიძლება ყოფილიყო ცნობილი ი. მ-მისათვის ნ. ჭ-მისგან ან თვითონ დ. კ-მისგან.

გარდა ამისა, საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს სხვა მნიშვნელოვან გარემოებაზეც: სააპელაციო სასამართლო, როგორც ჩანს, იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს იმ მოსაზრებას, რომ ქმედების ჩადენისას დ. კ-მე ვარაუდობდა, რომ დაზარალებული ნ. ჭ-მე მის მაგივრად, ანუ დ. კ-მის ნაცვლად უპირობოდ გადაუხდიდა ი. მ-მეს იმ 3000 აშშ დოლარს, რომელიც მას ამ უკანასკნელისგან ჰქონდა სესხის სახით მიღებული, მაგრამ სასამართლო არ უთითებს რაიმე კონკრეტულ მტკიცებულებაზე, რაც მსგავსი დასკვნის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. ამასთან, სასამართლო აღნიშნული დასკვნის გაკეთებისას ანგარიშს არ უწევს იმ უდავო ფაქტს, რომ ნ. ჭ-მემ ი. მ-მისათვის ზემოხსენებული 3000 აშშ დოლარის გადახდამდე დიდი ხნით ადრე მიმართა განცხადებით პროკურატურას დ. კ-მის მხრივ შესაძლო თაღლითობის თაობაზე და მოითხოვა სათანადო რეაგირება. ამავე დროს, რატომ უნდა ჰქონოდა დ. კ-მეს იმის რწმენა, რომ მის ვალს მის მაგივრად ნ. ჭ-მე აუცილებლად გაისტუმრებდა. საქართველოს სსსკ-ის 496-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, სასამართლომ განაჩენში უნდა მიუთითოს სხდომაზე გამოკვლეულ იმ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობაზე, რასაც ემყარება სასამართლოს დასკვნები.

ამასთან ერთად, საყურადღებოა სააპელაციო სასამართლოს მიერ თავის განაჩენში დ. კ-ძის ბრალეულობაზე ჩამოყალიბებული შედეგი დასკვნაც: ამდენად, დ. კ-ძემ, ისარგებლა რა ნ. ჭ-ძის ნდობით, მიიღო მისგან გაყიდული ბინის საფასურის მნიშვნელოვანი ნაწილი - 1450 აშშ დოლარი, ხოლო შემდგომ მალულად ხელახლა გაასხვისა ნ. ლ-შვილისათვის გადაცვლილი და ამ უკანასკნელის მიერ მ. წ-ძეზე გაყიდული, ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში მდებარე ბინა, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულ ნ. ჭ-ძეს.

სააპელაციო სასამართლოს ამ დასკვნიდან ისე ჩანს, რომ, თითქოს დ. კ-ძემ თაღლითობის ჩადენა ჩაიფიქრა ჯერ კიდევ 2002 წელს, როდესაც მან ბოროტად ისარგებლა ნ. ჭ-ძის ნდობით და 1600 აშშ დოლარად მიჰყიდა მას ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\17-ში მდებარე ბინა, რათა შემდეგ ჩუმად გაესხვისებინა #3\14-ში მდებარე ბინა (რომელიც ნაყიდი ჰქონდა მ. წ-ძეს) და ამ გზით მოეტყუებინა ნ. ჭ-ძე, რომელიც იძულებული გახდებოდა მის მიერ, ე.ი. დ. კ-ძის მიერ აღებული ვალი (3000 აშშ დოლარი) გადაეხადა. უდავოდ დადგენილი ფაქტებია, რომ დ. კ-ძემ ირ. მ-ძისაგან 3000 აშშ დოლარი ისესხა 2005 წელს, ხოლო ამ ვალის ანგარიშში დ. კ-ძემ #3\14-ში მდებარე ბინა გაასხვისა 2006 წელს. ბრალეული კავშირის არსებობა 2002 წელს ნ. ჭ-ძესა და დ. კ-ძეს შორის ქ. ქუთაისში, ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\17-ში მდებარე ბინის თაობაზე დადებულ გარიგების ფაქტთან ყოველგვარ დამაჯერებლობას არის მოკლებული. მართალია, საბრალდებო დასკვნაში საქმის ფაქტობრივი გარემოებების აღწერისას მოხსენიებულია 2002 წელს აღნიშნულ მხარეებს შორის #3\14-ში მდებარე ბინის თაობაზე დადებული გარიგება, მაგრამ ამ უკანასკნელს საბრალდებო დასკვნა დ. კ-ძეს ბრალდებად არ უყენებს და არც ედავება მას ამ მოქმედების თაობაზე (რეალურად არც არსებობდა შედავების საფუძველი), რის გამოც უნდა მივიჩნიოთ, რომ სააპელაციო სასამართლო თავის დასკვნაში ფაქტობრივად გასცდა საბრალდებო დასკვნის ფარგლებს მსჯავრდებულის საზიანოდ.

ამრიგად, სააპელაციო სასამართლოში სასამართლო გამოძიება, ზემოაღნიშნული საპროცესო მოთხოვნების უგულვებლყოფის შედეგად, ჩატარებულია არასრულყოფილად, რის გამოც არ არის სარწმუნოდ გარკვეული: ვის მიმართ და როდის ჩაიდინა მან აღნიშნული დანაშაული; რა იყო დ. კ-ძის შესაძლო დანაშაულის საგანი - ბინა, თანხა, თუ სხვა ფასეულობა, ანუ რაში გამოიხატა მისი დანაშაულებრივი ქმედებით მიყენებული რეალური ზიანი, რა მოცულობისაა ეს ზიანი და ვის მიაღვა იგი - ნ. ჭ-ძეს, თუ სხვა პირს. როგორც ამ გარემოებების, ისე ზემოთ მითითებული სხვა გარემოებების სწორად გარკვევა აუცილებელია, რადგან მათ გარკვევას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად, დ. კ-ძის ქმედება წარმოადგენს თუ არა საერთოდ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ რაიმე დანაშაულს.

მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული საკითხების გარკვევისა და შესაბამისად, საქმის ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენის საჭიროება წარმოიშვა იმიტომაც, რომ საბრალდებო დასკვნით დ. კ-ძეს ბრალდება წაყენებული აქვს მხოლოდ იმაში, რომ მან თაღლითობა ჩაიდინა დაზარალებულად ცნობილ ნ. ჭ-ძის მიმართ; ამასთან ერთად, საყურადღებოა შემდეგი გარემოებაც: ნ. ლ-შვილისგან მ. წ-ძის მიერ ... გამზირის მე-2 შესახვევის #3\14-ში მდებარე ბინის შეძენისას, ასევე ნ. ჭ-ძის მიერ დ. კ-ძისაგან #3\17-ში მდებარე ბინის შეძენისას, ხოლო მანამდე ნ. ლ-შვილისა და დ. კ-ძის მიერ აღნიშნული ბინების ურთიერთგაცვლისას კანონმდებლობით გათვალისწინებული არც ერთი მოთხოვნა არ ყოფილა დაცული, რის შედეგადაც სამართლებრივად არც ნ. ჭ-ძე და არც მ. წ-ძე არ წარმოადგენდნენ მათ მიერ შეძენილი ბინების მესაკუთრეს ან თუნდაც კანონიერ მფლობელს და ისინი მხოლოდ ამ ბინების ფაქტობრივი მოსარგებლებეები იყვნენ. აღნიშნული გარემოებები სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს მოცემულ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

მითითებული საკითხების გაურკვევლად, რომელთა უტყუარად დადგენა აუცილებლად მოითხოვს მთელი რიგი ისეთი საპროცესო მოქმედებების ჩატარებას, რისი უფლებამოსილებაც საკასაციო პალატას არ გააჩნია, მოცემულ ეტაპზე ვერ იქნება მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მსჯავრდებულ დ. კ-ძის ბრალეულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც მისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნის საფუძვლიანობისა თუ უსაფუძვლობის თაობაზეც ვერ იქნება გამოტანილი კანონიერი და დასაბუთებული დასკვნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. კ-ძის ბრალდების საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ დაუშვა ისეთი არსებითი საპროცესო დარღვევები, რამაც გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე და რაც, თანახმად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და იმავე კოდექსის 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. შესაბამისად, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განაჩენი უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე დ. კ-ძის მიმართ უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად.

სააპელაციო სასამართლოში აღნიშნული საქმის განხილვისას უნდა ჩატარდეს სრულყოფილი სასამართლო გამოძიება საამისოდ საპროცესო კანონით გათვალისწინებულ შესაძლებლობათა მაქსიმალურად გამოყენების გზით, რა დროსაც უნდა გაირკვეს და სარწმუნოდ დადგინდეს ყველა ზემოთ მითითებული საკითხი დ. კ-ის ბრალულობასთან დაკავშირებით, აგრეთვე - სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც შეიძლება წამოიჭრას საქმის განხილვის მიმდინარეობისას, ხოლო ამის შედეგად უტყუარად დადგინდეს ფაქტობრივ გარემოებებს სასამართლომ უნდა მისცეს ჯეროვანი სამართლებრივი შეფასება დასაბუთებული და კანონიერი სასამართლო გადაწყვეტილების სახით.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ დ. კ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 9 ნოემბრის განაჩენი დ. კ-ის მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ახალი განხილვისათვის გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება და საქმის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის დაბრუნება საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევისათვის**

**განჩინება**

#66-აპ-10

7 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),
- მ. ოშხარელი,
- გ. შავლიაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ი. ა-ის ინტერესების დამცველი ადვოკატის - ლ. მ-ისა და აჭარის ა/რ-ის პროკურატურის უფროსი პროკურორის - გ. კ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განაჩენით ი. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით ი. ა-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 3500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 7 აგვისტოდან.

იმავე განაჩენით ჯ. ზ-ე გამართლდა საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, 192-ე და 210-ე მუხლების I ნაწილებით წარდგენილ ბრალდებებში.

ჯ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში, რისთვისაც სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 41-42-ე მუხლების გამოყენებით ჯ. ზ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 3000 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

იგი სასჯელს იხდის 2008 წლის 7 აგვისტოდან.

განაჩენით ი. ა-ესა და ჯ. ზ-ეს მსჯავრი დაედოთ შემდეგი დანაშაულის ჩადენაში:

1995 წლის 18 დეკემბერს შპს „ა-ის“ (შემდგომში შპს „ა-რის“) დამფუძნებელმა და დირექტორმა ი. ა-ემ, ქალაქ ბათუმის მერიასა და შპს „გ-დ-94-თან“ ერთად, დააფუძნა შპს სავაჭრო

ცენტრი "ბ-ი". ახალშექმნილი საწარმოს წილის 50%-ის მფლობელი გახდა შპს "ა-ი", ქალაქ ბათუმის მერიას გადაეცა საერთო წილის 20%, ხოლო შპს „გ-დ-94-ს“ - 30%.

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ი“ წარმოადგენს ბაზრობას და მისი საქმიანობიდან მიღებული დივიდენდები დამფუძნებლებს შორის ნაწილდებოდა პროცენტული მონაწილეობის მიხედვით. საქართველოს მთავრობის 2005 წლის 12 მაისის #..... განკარგულების თანახმად, იმავე წლის 21 ივნისს შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ წილის 20%, რომლის მფლობელიც იყო ქ. ბათუმის მერია, გადაეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომელიც, ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახით, ფლობს საზოგადოების 20%-იან წილს და, შესაბამისად, შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ი“ ამ დროიდან ერთ-ერთ მოწილედ მოიხსენიება.

შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ საქმიანობიდან მიღებული სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების მართლსაწინააღმდეგოდ მითვისების მიზნით, ილია ანანიძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „გ-ი-94-ის“ დამფუძნებლისა და დირექტორის, ნ. ა-ის მეუღლეს - თ. კ-ეს, რომელიც იმავე დროულად შპს „გ-დ-94-ის“ წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირია და ასევე, იმავე საწარმოს დირექტორს, 2005 წლიდან საზოგადოების 1, 5% წილის მფლობელ ჯ. ზ-ეს. ი. ა-ე მათ შეუთანხმდა, რომ მოეწვიათ ზემოხსენებულ საწარმოთა პარტნიორთა კრება, სადაც უნდა მიღებულიყო გადაწყვეტილება კუთვნილი დივიდენდის ქ. ბათუმის მერიისათვის გადაცემაზე უარის თქმის შესახებ, რის შემდეგ სხვის კუთვნილ თანხას მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისებდნენ.

2005 წლის 21 ივნისს, შეთანხმებისამებრ, მოწვეულ იქნა შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ პარტნიორთა კრება, რომელსაც შპს „ა-ის“ მხრიდან ესწრებოდა ამ საზოგადოების გენერალური დირექტორი ი. ა-ე, ასევე, შპს „გ-დ-94-ის“ წარმომადგენელი თ. კ-ე და სხვა პირები. კრებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტნიორებისათვის შესაბამისი დივიდენდების ყოველთვიურად განაწილების შესახებ, სადაც თ. კ-ის წინადადებით ასევე გადაწყდა, რომ ქ. ბათუმის მერიის კუთვნილი დივიდენდი 2005 წლის იანვრიდან მთლიანად გადარიცხულიყო შპს „ა-სა“ (შემდგომში შპს „ა-რი“) და შპს „გ-დ-94-ის“ ანგარიშებზე, შესაბამისად, დივიდენდის 60% და 40%-ის ოდენობით. ამ გადაწყვეტილების შესრულება დაევალა შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ ბუღალტერიას.

ზემოხსენებული დროიდან 2008 წლის 30 ივნისამდე ქ. ბათუმის მერიისა და შემდგომში მისი სამართალმემკვიდრის - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილ დივიდენდებს, საწარმოში არსებული წილობრივი მონაწილეობის მიხედვით, შპს სავაჭრო ცენტრი „ბ-ის“ ბუღალტერი ე. მ-ე იმავე საზოგადოების სალაროდან გადასცემდა პირადად ჯ. ზ-ეს, შპს „ა-ის“ (შპს „ა-რი“) და შპს „გ-დ-94-ის“ სალაროებს, რასაც შემდეგ მართლსაწინააღმდეგოდ ითვისებდნენ ი. ა-ე და თ. კ-ე.

2005 წლის ივნისიდან 2008 წლის 30 ივნისამდე ი. ა-ემ, თ. კ-ემ და ჯ. ზ-ემ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, მართლსაწინააღმდეგოდ მიითვისეს აჭარის ა/რ-ის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს კუთვნილი 304459 ლარი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განაჩენი სააპელაციო წესით გასაჩივრეს მსჯავრდებულების - ი. ა-ისა და ჯ. ზ-ის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - დ. ა-ემ და ლ. მ-ემ.

აპელანტები სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულების - ჯ. ზ-ისა და ი. ა-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

სააპელაციო პალატის სხდომაზე აპელანტებმა დააზუსტეს თავიანთი სააპელაციო საჩივარი და მოითხოვეს: ჯ. ზ-ის მიმართ გასაჩივრებულ განაჩენში ცვლილების შეტანა და სახელმწიფო ბრალმდებლის მიერ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცება, ხოლო ი. ა-ის მიმართ - გამამართლებელი განაჩენის დადგენა. ამასთან, ალტერნატივის სახით ითხოვეს: ი. ა-ის მიმართ ჩატარებული კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს სსკ-ის 607-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის სასჯელის აღსრულების გადავადება.

სახელმწიფო ბრალმდებელმა გ. კ-მა ითხოვა ი. ა-ის მიმართ გასაჩივრებული განაჩენის უცვლელად დატოვება, ხოლო ჯ. ზ-ის მიმართ იშუამდგომლა მის მიერ წარმოდგენილი საპროცესო შეთანხმების დამტკიცება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განაჩენით ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 4 მაისის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება:

დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება მსჯავრდებულ ჯ. ზ-ეს, მის ადვოკატ ლ. მ-ესა და პროკურორ გ. კ-ს შორის.

ჯ. ზ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის II ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით და სასჯელად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, საიდანაც საქარ-

თველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე სასჯელის ნაწილი - 1 წელი, 4 თვე, 3 დღე განესაზღვრა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი - 3 წელი, 7 თვე და 27 დღე იმავე კოდექსის 63-ე-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით - 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის საფუძველზე ჯ. ზ-ეს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა - 45 000 ლარი.

ჯ. ზ-ე გათავისუფლდა სასამართლოს სხდომის დარბაზიდან.

ი. ა-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის III ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და სასჯელად განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 41-ე-42-ე მუხლების საფუძველზე მას დამატებით სასჯელად დაენიშნა ჯარიმა - 3500 ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

ი. ა-ეს განაჩენის აღსრულება გადაევადა ჯანმრთელობის მდგომარეობის არსებითად გაუმჯობესებამდე.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ ი. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ლ. მ-ემ და აჭარის ა/რ-ის პროკურატურის უფროსმა პროკურორმა გ. კ-მა საკასაციო საჩივრებით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა - მსჯავრდებულ ი. ა-ის ადვოკატმა, ლ. მ-ემ ითხოვა უკანონო, დაუსაბუთებელი განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

კასატორმა - აჭარის ა/რ-ის პროკურორმა გ. კ-მა ითხოვა უკანონო განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება იმავე სასამართლოში ხელახლა განსახილველად, მისი გამკაცრების მიზნით.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განაჩენი ი. ა-ის მიმართ უნდა გაუქმდეს და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის შემდეგი გარემოებების გამო:

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის თანახმად, სასამართლო ვალდებულია, გაარკვიოს მტკიცების საგნის ყველა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დაამტკიცოს გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს ბრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას.

საკასაციო პალატას საკმარისად არ მიაჩნია საქმეზე გამოკვლეული მტკიცებულებები, რადგან, თვლის, რომ არც რაიონულმა და არც სააპელაციო სასამართლოებმა სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად არ გამოიკვლიეს საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო პალატამ საქმის ხელმეორედ განხილვის დროს, სსსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად უნდა გამოიკვლიოს საქმის გარემოებები ი. ა-ის მიმართ წარდგენილ ბრალდებასთან მიმართებით და ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიოს მისი პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, რის შემდეგაც სასამართლო გამოძიებით მოპოვებული და საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებების ანალიზისა და სამართლებრივი შეფასების შედეგად უნდა მიიღოს კანონის შესაბამისი გადაწყვეტილება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

### **და ა ა დ გ ი ნ ა :**

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 10 დეკემბრის განაჩენი ი. ა-ის მიმართ და საქმე გადაეცეს იმავე სასამართლოს ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლო განხილვისათვის საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით

### განჩინება

#774-აპ-09

24 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- ზ. მეიშვილი,
- დ. სულაქველიძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქუთაისის რაიონული პროკურორის მოადგილე გ. გ-ისა და მსჯავრდებულ ნ. ა-ის დამცველის, ადვოკატ ვ. ბ-ის საკასაციო საჩივრები ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განაჩენზე.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 მაისის განაჩენით ნ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლით იმაში, რომ ჩაიდინა პროსტიტუციისათვის საცხოვრებლის გადაცემა, რაც გამოიხატა შემდეგში:

2005 წელს, ზუსტი თარიღი დაუდგენელია, ქუთაისში მცხოვრებმა ნ. ა-მა ანგარების მიზნით განიზრახა, თავის მფლობელობაში არსებული, ქ. ქუთაისში, ...-ის ქ. #17-ში მდებარე 77,20 კვ.მ საცხოვრებელი ბინა პროსტიტუციისათვის გადაეცა მეძავი ქალებისათვის. საამისოდ იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ნ. ბ-ას და დაუდგენელ ორ პირს. ისინი შეთანხმდნენ, რომ ეს უკანასკნელნი უზრუნველყოფდნენ მეძავი ქალების საქმიანობის ორგანიზებას და ამ გზით მიღებული შემოსავლის გადაცემას ნ. ა-ისათვის. განზრახვის შესასრულებლად ზემოხსენებული საცხოვრებელი ფართი შესაბამისი პირობების შექმნის შემდეგ, ნ. ა-მა პროსტიტუციისათვის გადასცა მეძავებს, მათ შორის - ი. კ-ს, ა. ტ-ს, ნ. შ-ას, ი. ჯ-ს, ნ. რ-სა და ფ. ზ-ეს, რომლებიც შეუდგნენ სექსუალური მომსახურების გაწევას სხვადასხვა პირებისათვის. საცხოვრებელ ფართში მისული კლიენტი სექსუალური მომსახურებისათვის იხდიდა 50 ლარს, ხოლო მომსახურების გასაწევად შესაბამისი ოთახის დათმობისათვის - 20-დან 50 ლარამდე, რაც უშუალოდ ნ. ა-ის შემოსავალს წარმოადგენდა.

აღნიშნული ქმედებისათვის ნ. ა-ს მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2008 წლის 20 სექტემბრიდან; მასვე სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამოერთვა უძრავი და მოძრავი ქონება.

ამავე განაჩენით დამტკიცდა საპროცესო შეთანხმება პროკურორ გ. შ-სა და განსასჯელ ნ. ბ-ას შორის, რომლის თანახმად, ნ. ბ-ას საქართველოს სსკ-ის 24-ე, 254-ე მუხლით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 3 წლის გამოსაცდელი ვადით.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულის ადვოკატმა ვ. ბ-ემ და პროკურორმა გ. გ-ემ.

ადვოკატმა მ. ბ-ემ სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის გაუქმება, ნ. ა-ის გამართლება და განთავისუფლება სასამართლო სხდომის დარბაზიდან, ასევე - სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმეული უძრავ-მოძრავი ქონების დაბრუნება, ხოლო პროკურორმა - ნ. ა-ისათვის სასჯელის ზომად 4 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრა და შემთხვევის ადგილიდან ამოღებული 91 დასახელების ოქროს სამკაულის ჩამორთმევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 30 ივლისის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - პროკურორი გ. გ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონო, დაუსაბუთებელია და უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

ნ. ა-ს არ გააჩნია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები; მან არ აღიარა ჩადენილი დანაშაული და შეეცადა გამოძიებისა და სასამართლოსათვის ობიექტური ჭეშმარიტების დადგენაში ხელის შეშლას; მას არ გააჩნდა სხვა სახის ლეგალური შემოსავალი, გარდა პროსტიტუციისათვის საცხოვრებელი სახლის დათმობით მიღებულისა, და ეს შემოსავალი საკმაოდ სოლიდური იყო; სწორედ ამ თანხით იძენდა ის ოქროს ნივთებს და ინახავდა დანაშაულის ადგილზე; სწორედ ამიტომ მას სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ უნდა ჩამოერთვას შემთხვევის ადგილიდან ამოღებული 91 დასახელების ოქროს ნივთი.



აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

კასატორი - მსჯავრდებულის ადვოკატი ვ. ბ-ე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უსაფუძვლოა, დაუსაბუთებელია და არ გამომდინარეობს კანონიდან, ამიტომ უნდა გაუქმდეს, ნ. ა-ის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა და მას უნდა დაუბრუნდეს ჩამორთმეული უძრავი ქონება, ასევე - თანხა, რომელიც დანაშაულებრივი გზით არ არის მოპოვებული. ქუთაისში, . . .-ის ქ. #17-ში მდებარე 77,20 კვ.მ საცხოვრებელი ფართი ქუთაისის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულია სასტუმრო „კ-ად“ და მიღებული შემოსავლები დაფიქსირებულია საგადასახადო სამსახურში; ამ სასტუმროში ცვლაში მუშაობდნენ ადმინისტრატორები: ნ. ბ-ა, ე. თ-ე და ვ. ს-ა. ნ. ბ-ასა და ე. თ-ესთან გაფორმებულია საპროცესო შეთანხმება, ხოლო ვ. ს-ა, რომლის ჩვენებას ჭეშმარიტების დასადგენად არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა, არ დაუკითხავთ; მოწმის სახით დაკითხული ადმინისტრატორები და მეძავეები ადასტურებენ, რომ პროსტიტუციის თანხასთან ნ. ა-ს არანაირი კავშირი ჰქონია, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნ. ა-ისათვის შერაცხული ბრალდება არ შეიცავს ქმედების სუბიექტურ მხარეს - არ არის დადგენილი მისგან პროსტიტუციის თანხის მიღების ფაქტი.

ადვოკატის განმარტებით, საფუძველსა მოკლებული ნ. ა-ისათვის უძრავი ქონებისა და შემთხვევის ადგილზე ამოღებული, ასევე - საბანკო ანგარიშზე არსებული ფულადი თანხების ჩამორთმევა, რადგან მას საცხოვრებელი ფართი პროსტიტუციისათვის არ გადაუცია; აღნიშნული დადასტურებული რომც იყოს, მითითებული საცხოვრებელი ფართი საჯარო რეესტრში დაფიქსირებულია მეუღლეთა თანასაკუთრებად, ა. ა-ი კი იმ პერიოდში - 2007 წლის 17 იანვრიდან 2008 წლის 17 დეკემბრამდე - პატიმარი იყო და აღნიშნულ საქმესთან არანაირი კავშირი არ ჰქონია; მეტიც, ჩამორთმეულ ფართში არ შედის სასტუმროსგან იზოლირებული 17 კვ.მ ოთახი, რომელიც ნ. და ა. ა-ების საძინებელია და გამოძიებით არ არის დადგენილი, რომ ამ ოთახსაც როდისმე ვინმე პროსტიტუციისათვის იყენებდა.

გარდა ამისა, ადვოკატი ვ. ბ-ე აღნიშნავს, რომ დაცვის მხარის მიერ სასამართლოზე წარდგენილი დოკუმენტაციით ნ. ა-ის პირად ანგარიშზე „ტიბისი ბანკსა“ და „პროკრედიტ ბანკში“ არსებული თანხების გარკვეული ნაწილის შემოსავლის წყარო დადგენილია, კერძოდ: „ტიბისი ბანკში“ ნ. ა-ის ანგარიშზე ქალიშვილის - ა. ა-ის მიერ იტალიიდან „ვესტენ უნიონით“ სხვადასხვა პერიოდში ჩარიცხულია სხვადასხვა თანხა, სულ - 14,490 ევრო; ამავე ბანკში ა. ა-ის მიერ (დაპატიმრებამდე) შეტანილია 1200 ევრო, ხოლო პატიმრობის პერიოდში მინდობილობით - 5000 აშშ დოლარი; ასევე „პროკრედიტ ბანკში“ მსჯავრდებულის შვილის - ქ. ა-ის მიერ შეტანილია 9,490 ლარი და 350 აშშ დოლარი. აღნიშნული დოკუმენტაცია დაცვის მხარემ ამოიღო ბანკებიდან და დაურთო საქმის მასალებს, რაც სასამართლოს ობიექტური მსჯელობის საგანი არ გამხდარა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებულის ადვოკატი ითხოვს განაჩენის გაუქმებას, ნ. ა-ის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, მისთვის სახელმწიფოს სასარგებლოდ უკანონოდ ჩამორთმეული უძრავი ქონების, ნივთებისა და პირადი თანხების დაბრუნებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ ისინი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს მსჯავრდებულის დამცველის მოთხოვნას ნ. ა-ის მიმართ საქმის შეწყვეტის შესახებ, რადგან უტყუარადაა დადგენილი დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებანი და მისი ჩამდენი პირი, კერძოდ:

არაერთი მოწმის ჩვენებით ირკვევა, რომ სხეულით ვაჭრობდნენ სასტუმროში მის მეპატრონესთან - ნ. ა-თან შეთანხმებით, რაც სხვაგვარად შეუძლებელი იყო. სასამართლოში დაიკითხნენ ის პირებიც, რომლებიც ამგვარი მომსახურებით სარგებლობდნენ. მათი და სასტუმროს მოსამსახურე პერსონალის განმარტებებით, უდავოდ დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, რომ ნ. ა-მა პროსტიტუციისათვის გადასცა საცხოვრებელი.

ადვოკატის მტკიცებით, პროსტიტუციით გამომუშავებულ თანხებთან ნ. ა-ს არაფერი აკავშირებს და არ არის დადგენილი ქმედების სუბიექტური მხარის ნიშნები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 254-ე მუხლის შემადგენლობის ნიშანი - განზრახვა, უდავოდ დადგენილია. რაც შეეხება მოტივს, იგი ამ დანაშაულის აუცილებელი ნიშანი არ არის. პროსტიტუციისათვის სადგომის ან საცხოვრებლის გადაცემა შეიძლება ჩადენილ იქნეს ანგარებით ან სხვა პირადი მოტივით, რაც გასათვალისწინებელია სასჯელის დანიშვნის დროს და არა ქმედების კვალიფიკაციისას.

სასტუმროს ადმინისტრატორების - ე. თ-ის და ნ. ბ-ას ჩვენებებით, სასტუმროში მყოფი ქალები სხეულით ვაჭრობდნენ. ნ. ა-ი "ყველაფერს აკონტროლებდა" და ყველა საკითხს უშუალოდ წყვეტდა. პროსტიტუციით გამომუშავებული თანხის ნაწილს მეძავეები გადასცემდნენ ადმინისტრატორებს, ისინი კი - ნ. ა-ს. თუ ეს უკანასკნელი ქუთაისში არ იმყოფებოდა, სარგებლობდნენ საბანკო მომსახურებითაც.

პალატა აღნიშნავს, რომ უტყუარი მტკიცებულებებითაა დადგენილი პროსტიტუციით მოპოვებულ თანხებთან ნ. ა-ის კავშირი და, შესაბამისად, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მოტივიც, კერძოდ, ანგარება.

ადვოკატი მიუთითებს, რომ 17 კვ.მ ოთახი სასტუმროსაგან იზოლირებულია და არ დასტურდება მისი დანაშაულის ჩასადენად გამოყენება.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ 77.20 კვ.მ, რაც უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს, სახლის გამოყოფილი ნაწილია.

მსჯავრდებულ ნ. ბ-ას ჩვენებით, მეძავეები სასტუმროს ყველა ოთახით სარგებლობდნენ.

მოწმე ე. თ-ე აღნიშნავს, რომ სასტუმროში დამლაგებლად მუშაობდა 2006 წლიდან, რა დროსაც სასტუმროში ოჯახთან ერთად ცხოვრობდა ნ. ა-იც, მაგრამ დაახლოებით 1 წელიწადში ისინი საცხოვრებლად ცალკე, სასტუმროს გვერდით გადავიდნენ.

პალატა აღნიშნავს, რომ ჩამორთმეული უძრავი ნივთის დანაშაულის ჩასადენად გამოყენება დადგენილია სხვადასხვა პირთა ჩვენებებით და წერილობითი მტკიცებულებებით. რაც შეეხება ამ ნივთის მესაკუთრის ვინაობას, პალატა განმარტავს, რომ ჩამორთმევას ექვემდებარება დანაშაულის საგანი ან მის ჩასადენად გამოიზნული ნივთი იმ შემთხვევაშიც, თუ მას პირი მართლზომიერად ფლობს. ნ. ა-ის მიერ პროსტიტუციისათვის გადაცემული საცხოვრებლის მართლზომიერად ფლობას (გარდა იმისა, რომ მსჯავრდებული ამ ნივთის თანამესაკუთრეა) არც ადვოკატი უარყოფს.

გასაზიარებელია დაცვის მხარის საჩივრის მოტივი იმის შესახებ, რომ საქმეში არსებულ, საბანკო მომსახურებისა და თანხის განკარგვის მინდობილობის ამსახველ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით პირველი და სააპელაციო ინსტანციის სასამართლოებმა არ იმსჯელეს.

ადვოკატის მტკიცებით, მის მიერ წარდგენილი დოკუმენტაციით, მაგ. "თიბისი" ბანკში ნ. ა-ის ანგარიშზე ჩარიცხული თანხების მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოგზავნილია საზღვარგარეთიდან.

გასაჩივრებული განაჩენით, ნ. ა-ს მის პირად საბანკო ანგარიშზე არსებული თანხები ჩამოერთვა იმ მოტივით, რომ, გარდა დანაშაულებრივი საქმიანობისა, მას შემოსავლის სხვა წყარო არ გააჩნდა და თანხები მის საბანკო ანგარიშზე აღმოჩნდა.

სააპელაციო სასამართლოს ამ მოტივიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა პირის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა ნივთი არ იყოს მოპოვებული დანაშაულებრივი გზით, შეუძლებელია ნ. ა-ის საბანკო ანგარიშზე ყველა შენატანის ჩამორთმევის ნაწილში გასაჩივრებული განაჩენის კანონიერების შემოწმება, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

საქმის ხელახლა განხილვისას უნდა დადგინდეს, მართლაც ირიცხებოდა თუ არა ნ. ა-ის საბანკო ანგარიშებზე თანხა საზღვარგარეთიდან, დადებით შემთხვევაში, სასამართლომ უნდა იმსჯელოს, უკავშირდება თუ არა ქვეყნის ფარგლებს გარედან გადმოგზავნილი თანხები ნ. ა-ისათვის ბრალად შერაცხულ საქმიანობას.

გარდა აღნიშნულისა, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ნ. ა-ისაგან ამოღებულ ოქროს ნივთების საკითხზე, კერძოდ:

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ ნ. ა-ს, გარდა დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებულისა, სხვა შემოსავალი არ გააჩნდა. მსჯავრდებულმა სასამართლოში განაცხადა, რომ ამოღებულ ოქროს ნივთებს თავად ყიდულობდა. მოწმე ჯ. ა-ის ჩვენებით, მან ნ. ა-სს მიჰყიდა ოქროს ბეჭედი 700 ლარად, თუმცა ზუსტად არ ახსოვს, რამდენჯერ შეიძინა მისგან ოქროს ნივთები მსჯავრდებულმა. მოწმის განმარტებით, ოქროს ყიდულობდა ქ. თბილისში, ე.წ. "ოქროს ბირჟაზე", თუმცა ოქროთი არ ვაჭრობდა. საგულისხმოა, რომ ოქროულობა ამოღებულია პროსტიტუციისათვის გადაცემული საცხოვრებლიდან, როცა, მსჯავრდებულის ჩვენებით, ძირითადად თბილისში ცხოვრობდა და ჯ. ა-იც ოქროს თბილისში ყიდულობდა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, საქმის ხელახლა განხილვის დროს სააპელაციო პალატამ სათანადოდ უნდა გამოიკვლიოს ამოღებულ ოქროულობასთან დაკავშირებული მასალები, იმსჯელოს მათზე და ამის შემდეგ მიიღოს კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, უნდა გადაწყდეს ი. ჯ-ისაგან, ნ. რ-ისაგან და ფ. ზ-ისაგან ამოღებული და ნივთმტკიცებად ცნობილი თანხების საკითხიც.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უსამართლობის მოტივით გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველი არ არსებობს. ნ. ა-ს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია და

ვერც პროკურორი ასაბუთებს, ასეთ ვითარებაში რატომ უნდა განესაზღვროს მსჯავრდებულს სასაჯელის ზომის მაქსიმუმი.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით და

**და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ნ. ა-ის ადვოკატ ვ. ბ-ის და პროკურორ გ. გ-ის საკასაციო საჩივრები დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 30 ივლისის განაჩენი ნ. ა-ის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლო განხილვისათვის საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით**

**განჩინება**

#276-აპ-10

28 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),**
- მ. ოშხარელი,**
- ლ. მურუსიძე**

განიხილა მსჯავრდებულ ჯ. ძ-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენით ჯ. ძ-ე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 360-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, რის გამოც მას სასაჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 7000 (შვიდი ათასი) ლარის ოდენობით. საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის მე-5 ნაწილისა და "ამნისტიის შესახებ" 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის შესაბამისად, ჯ. ძ-ე გათავისუფლდა დანიშნული სასაჯელის მოხდისაგან. სამოქალაქო სარჩელი დარჩა განუხილველი.

განაჩენის მიხედვით, ჯ. ძ-ს მსჯავრი დაედო თვითნებობისათვის, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მ. ა-ე იყო ინდუსტრიის დამფუძნებელი და მფლობელი. მას საკუთრებაში ჰქონდა 7 კვადრატული მეტრი ფართობი, სადაც იგი, შესაბამისი ლიცენზიის საფუძველზე, 1999 წლიდან ეწეოდა ცეცხლსასროლი და გლუვლულიანი იარაღით, საბრძოლო მასალითა და სამონადირეო ინვენტარით ვაჭრობას. ამავე მაღაზიაში 2005 წლის მარტში 85 კვადრატული მეტრი ფართობი შეიძინა ჯ. ძ-მ, რომელმაც, მ. ა-სთან სიტყვიერი შეთანხმებით, მასთან ერთად აღნიშნულ მაღაზიაში დაიწყო ზემონახსენები ინვენტარის შემოტანა და ვაჭრობა, რასაც ახორციელებდა მ. ა-ს ლიცენზიის საფუძველზე. 2006 წლის სექტემბერში მ. ა-სა და ჯ. ძ-ს შორის ურთიერთობა დაიძაბა, რის შემდეგაც მ. ა-ე იძულებული გახდა, დაეტოვებინა მაღაზია, სადაც შესაძლებელია დატოვა თავისი საბრძოლო და სამონადირეო ინვენტარი, რომლის მოვლისა და არგასხვისების ვალდებულება თავის თავზე აიღო ჯ. ძ-მ. მიუხედავად აღნიშნულისა, მან არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და მ. ა-ზე განაწყენებულმა განიზრახა ამ ქონების თვითნებურად განადგურება. თავისი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან თვითნებურად, მ. ა-სათვის შეუტყობინებლად, ე.წ. "ბარგალკის" მეშვეობით განზრახ განადგურა და შემდეგ მდინარე მტკვარში გადაყარა მისთვის მიბარებული, თავისივე თანხით შეძენილი და მ. ა-ის სახელზე რეგისტრირებული, სულ 10 987 ლარად და 20 თეთრად ღირებული იარაღები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. მ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ჯ. მ-ის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჯ. მ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მის ქმედებაში არ არსებობს თვითნებობის ობიექტური მხარის დამახასიათებელი ნიშნები, კერძოდ, აღნიშნული ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ისეთი სავალდებულო ნიშანი, როგორცაა მნიშვნელოვანი ზიანი, რადგან მის მიერ განხორციელებული ქმედების შედეგად ზიანი მიადგა თვითონ მას და არა - სხვა პირს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდებულ ჯ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 26 თებერვლის განაჩენი ჯ. მ-ს მსჯავრდების თაობაზე და საქმე დაუბრუნდა იმავე სასამართლოს ხელახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატამ განჩინებით მიიჩნია: იმის გამო, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვა საქართველოს სსსკ-ის მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილითა და 496-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, გამოურკვეველი და დაუდგენელი დარჩა საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, კერძოდ: ჯ. მ-ს ქმედებამ გამოიწვია თუ არა რაიმე ზიანი; თუკი ასეთი ზიანი არსებობს, რაში გამოიხატება იგი, რა მოცულობის ან რა ზომისაა ეს ზიანი და არის თუ არა იგი მნიშვნელოვანი; ვის მიადგა ეს ზიანი - საქმეზე დაზარალებულად ცნობილ მ. ა-ს, სახელმწიფოს, თუ სხვა ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რის გამოც შეუძლებელი გახდა საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ჯ. მ-ს ბრალულობისა თუ უდანაშაულობის თაობაზე.

პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარებულიყო სრული სასამართლო გამოძიება, რომლის გარეშე ზემოაღნიშნული მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა ვერ მოხერხდებოდა. საქართველოს სსსკ-ის 533-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით ხელახლა უნდა გამოკვლეულიყო მტკიცებულებები, ხოლო ამ გზით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებისა და ობიექტურად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სამართლებრივი შეფასება უნდა მისცემოდა მსჯავრდებულ ჯ. მ-ს ქმედებას, მისი ბრალულობისა თუ უდანაშაულობის თვალსაზრისით. მხოლოდ ასეთ პირობებში იქნებოდა შესაძლებელი მოცემულ საქმეზე კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა მსჯავრდებულ ჯ. მ-ს სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა. რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 3 იანვრის განაჩენი ჯ. მ-ს მიმართ დარჩა უცვლელად.

განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა ჯ. მ-მ, რომელიც საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი.

დაზარალებული მ. ა-ე შესაგებლით ითხოვს, რომ არ დაკმაყოფილდეს მსჯავრდებულ ჯ. მ-ს საკასაციო საჩივრის მოთხოვნა. იგი აღნიშნავს, რომ არის ინდემწარმე, ჰქონდა ფართი და ლიცენზია, რის საფუძველზეც ყიდდა იარაღსა და საბრძოლო მასალას.

მისი განმარტებით, იარაღი, რომელიც ჯ. მ-მ გაანადგურა, შეძენილია მის მიერ, მისი თანხით, რის შესახებაც საქმეში არის არაერთი მტკიცებულება - შეძენის ანგარიშფაქტურები, რომლებიც ადასტურებს, რომ აღნიშნული ქონების მესაკუთრე არის მ. ა-ე. ამ ფაქტის დადასტურება ასევე შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც უშუალოდ მას აწვდიდნენ იარაღსა და საბრძოლო მასალას.

საკასაციო პალატის სხდომაზე ჯ. მ-ს ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ჩ-მ ვრცლად მიმოიხილა საქმის მასალები, მხარი დაუჭირა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა მისი დაკმაყოფილება.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა ჯ. მ-მ მხარი დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას.

დაზარალებულმა მ. ა-მ მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა პალატის წინაშე სააპელაციო პალატის განაჩენის უცვლელად დატოვება.

საკასაციო პალატის სხდომაზე პროკურორმა ლ. ქ-მა მხარი არ დაუჭირა საკასაციო საჩივრის მოთხოვნას და იშუამდგომლა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენის ძალაში დატოვება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. ძ-ს მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო პალატის განაჩენი დაუსაბუთებელია, რადგან მასში არ არის მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ყოველმხრივი, სრული და ობიექტური ანალიზი. ის რომ, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენები არ იყო საკმარისად დასაბუთებული, საფუძველი გახდა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 5 დეკემბრის განჩინებისა, რომლითაც გაუქმდა მიღებული გადაწყვეტილებები ჯ. ძ-ს ბრალდების ნაწილში და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს. ამასთან, განჩინებით მიეთითა, რომ არ არის ცალსახად გარკვეული საკითხი, თუ რა სახის ზიანი მიადგა მ. ა-ს და რა მოცულობისა იყო ზიანი.

მითითებული განჩინების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ ხელახლა განიხილა სისხლის სამართლის საქმე ჯ. ძ-ს მიმართ. შესაბამისად, გამოიტანა განაჩენი, სადაც სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ ქონება (იარაღი) შეძენილია ჯ. ძ-ს კუთვნილი თანხებით, მაგრამ ვინაიდან იგი არ უარყოფს, რომ განადგურებული ქონება იყო ფორმალურად ინდემწარმე მ. ა-ს საკუთრება, ხოლო სამოქალაქო კანონმდებლობა ცნობს "ფორმალური საკუთრება" არ იცნობს, ამიტომ განადგურებული ქონება იყო ინდ.საწარმოს საკუთრება, შესაბამისად, სწორედ ეს უკანასკნელი არის დაზარალებული მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე და მას მიადგა ზიანი 10987.20 ლარის ოდენობით.

პალატა თვლის, რომ მოცემული მსჯელობა არ არის მართებული შემდეგ გარემოებათა გამო: სამოქალაქო კანონმდებლობით - კერძოდ, "მეწარმეთა შესახებ" კანონით მეწარმე სუბიექტი - ინდემწარმე სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს როგორც ფიზიკური პირი (იგი არ წარმოადგენს იურიდიულ პირს). შესაბამისად, უფლება-მოვალეობების მხრივ ფიზიკური პირის - მ. ა-ს გამოიყენება ინდემწარმისგან არ არის მართებული.

პალატა მიიჩნევს, რომ წინასწარი გამოძიების ეტაპზე და ასევე სასამართლო გამოძიებისას დადგენილია, რომ განადგურებული ქონება შეძენილია ჯ. ძ-სა და გ. ზ-ს კუთვნილი სახსრებით. ის ფაქტი, რომ იარაღის ყიდვა-გაყიდვის უფლებაზე ლიცენზიის ფლობის გამო შეძენილი ქონება ტარდებოდა ინდემწარმე "მ. ა-ს" სახელით, არ ადასტურებს გარემოებას, რომ აღნიშნული ქონება არის მისი საკუთრება, ვინაიდან იმავე სამოქალაქო კანონმდებლობით, კერძოდ სამოქალაქო კოდექსით, განსაზღვრულია საკუთრების წარმოშობის საფუძვლები, სადაც აღნიშნულია, რომ საკუთრების უფლება წარმოიშობა შეძენის საფუძველზე. აღნიშნული ნორმატიული აქტი ასევე იცნობს კეთილსინდისიერი და არაკეთილსინდისიერი შეძენის ინსტიტუტს და რომ თუ ამა თუ იმ ნივთზე დადგინდება მისი არაკეთილსინდისიერად შეძენის ფაქტი, ეჭვქვეშ დგება ამ ნივთზე საკუთრების უფლების მართლზომიერება.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ზემომითითებული საკითხი გამოკვლეული და შესწავლილი არ არის. ასევე აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე სამოქალაქო სარჩელი განუხილველად არის დატოვებული.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არათუ მტკიცება, არამედ მსჯელობაც არ არის მართებული ქონების საკუთრებასთან დაკავშირებით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ამ საქმეზე დაზარალებულს ზიანი არ მისდგომია. კერძოდ, ვერც წინასწარი გამოძიებისას და ასევე ვერც სასამართლო განხილვის ვერც ერთ ეტაპზე დაზარალებული მ. ა-ე ვერ განსაზღვრავს, თუ რა ზიანი მიადგა მას და რაში გამოიხატა აღნიშნული ზიანი. უფრო მეტიც: საკასაციო პალატის სხდომაზე მ. ა-მ განაცხადა, რომ მას იარაღის განადგურების გამო სახელმწიფოს, ასევე სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის წინაშე რაიმე სახის ქონებრივი ვალდებულებები არ წარმოშობია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ამ დანაშაულში საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებებიდან და დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით მ. ა-ე, როგორც პიროვნება და როგორც ინდემწარმე, დაზარალებული ვერ იქნება, ხოლო დავა აღნიშნულ საკითხსა

და დავის საგანზე, როგორც ჯერ კიდევ პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა, უნდა გადაწყდეს არა სისხლის სამართალწარმოების გზით.

ზემოთხსენებული გარემოებებიდან გამომდინარე, პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოში საქმის ხელახლა განხილვისას უნდა ჩატარდეს სრული სასამართლო გამოძიება, რომლის გარეშე მითითებული მნიშვნელოვანი საკითხების გარკვევა და საქმის ფაქტობრივი გარემოებების სწორად დადგენა ვერ მოხერხდება, რა დროსაც უნდა მოხდეს მტკიცებულებების ხელახლა გამოკვლევა საქართველოს სსკ-ის 533-ე მუხლით გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებით, ხოლო ამ გზით მოპოვებული უტყუარი მტკიცებულებებისა და ობიექტურად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე სამართლებრივი შეფასება უნდა მიეცეს მსჯავრდებულ ჯ. მ-ს ქმედებას, დადგინდეს ჯ. მ-ს მიერ იარაღის განადგურების შედეგად, განადგურდა თუ არა სხვისი ქონებაც და თუ განადგურდა, მიაღდა თუ არა ზიანი სხვა პირს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ ჯ. მ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 14 დეკემბრის განაჩენი ჯ. მ-ს მსჯავრდების თაობაზე გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს ახალი განხილვისათვის.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლო განხილვისათვის საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებით**

#### **განჩინება**

#116-აპ-10

28 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა თბილისის გლდანი-ნამალაღვივის რაიონული პროკურატურის პროკურორ თ. ნ-მის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე თ. ქ-შვილის მიმართ.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 17 მარტის განაჩენით თ. ქ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 238<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით (2008 წლის 26 მაისის ეპიზოდი) წარდგენილ ბრალდებაში; იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2 ეპიზოდი), 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა (2 ეპიზოდი) და 238<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) იმაში, რომ ჩაიდინა ყაჩაღობა სატრანსპორტო საშუალების წინააღმდეგ; ასევე - სხვისი ნივთის დაზიანება გაუფრთხილებლობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და 21 წლის ასაკს მიუღწეველი პირის მიერ ცივი იარაღის ტარება, რაც გამოიხატა შემდეგში:

არასრულწლოვანმა თ. ქ-შვილმა განიზრახა, თავს დასხმოდა მოქალაქეებს მათი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ისეთი ძალადობით, რომელიც საშიშია სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მან შეიძინა ცივი იარაღი - პლასტმასის დანა, რომელსაც იგი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა. 2008 წლის 28 სექტემბერს, დაახლოებით 03.30 საათზე, თ. ქ-შვილი იმყოფებოდა თბილისში, სოფელ ...-ის გადასახვევთან, რა დროსაც განიზრახა ყაჩაღური თავდასხმა კერძო ტაქსის მძღოლ ვ. კ-მეზე. მან გააჩერა აღნიშნული ტაქსი და სთხოვა სოფელ ...-ში წაყვანა. როდესაც მიუახლოვდნენ სასაფლაოებს, თ. ქ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საში-

ში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, თანხაქონი დანის გამოყენებით მძლავრ გამოართვა ფული - 11 ლარი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რის შემდეგაც დანის მუქარით აიძულა ვ. კ-მე, გადასულიყო მანქანიდან, თვითონ დაჯდა საჭესთან, მართლსაწინააღმდეგოდ გაიტაცა და მიისაკუთრა დაზარალებულის კუთვნილი ავტომანქანა „ბმვ“ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. აღნიშნული მანქანით იმყოფებოდა რა თბილისში, თიანეთის ქუჩაზე მდებარე სკოლა-ინტერნატთან, თ. ქ-შვილი დაეჯახა ავტოფარების რკინის კარს და გაუფრთხილებლობით გააზიანა ვ. კ-მის მანქანა, რითიც მას მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი. ამის მერე ბოროტმოქმედი დაზიანებული ავტომანქანით წავიდა გლდანის მასივის მიმართულებით, გმირ კურსანტთა ქუჩაზე მდებარე პურის საცხობთან ჩაუქრა ძრავა, რის გამოც მანქანა იქვე მიატოვა.

იმავე დღეს, დაახლოებით 5.00 საათზე, თ. ქ-შვილი იმყოფებოდა თბილისში, გლდანის „ა“ მიკრორაიონში, რა დროსაც განიზრახა ყაჩაღური თავდასხმა კერძო ტაქსის მძღოლ კ. ბ-შვილზე. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად მან გააჩერა ტაქსი და სთხოვა სოფელ ...-ში წაყვანა. როდესაც მიუახლოვდნენ გმირ კურსანტთა ქუჩაზე მდებარე პურის საცხობს, თ. ქ-შვილმა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის მუქარით, თანხაქონი დანის გამოყენებით კ. ბაგალიშვილს გამოართვა ფული - 10 ლარი, რომელიც მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა, რის შემდეგაც დანის მუქარით აიძულა მძღოლი, გადასულიყო მანქანიდან, თვითონ დაჯდა საჭესთან, მართლსაწინააღმდეგოდ გაიტაცა და მიისაკუთრა ავტომანქანა „ოპელ-ასტრა“ და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. თ. ქ-შვილი მოძრაობდა თბილისში, ... მე-7 მ/რ-ის 26-ე კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც დაეჯახა ბორდიურს და გაუფრთხილებლობით დააზიანა კ. ბ-შვილის კუთვნილი მანქანა, რომელიც გამოვიდა მწყობრიდან, ამიტომ ბოროტმოქმედმა ვედარ შეძლო ავტომობილით მოძრაობა, გადმოვიდა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. ქ-შვილს საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) განესაზღვრა 1000-1000 ლარი ჯარიმა, რომლის მოხდისაგან გათავისუფლდა „ამნისტიის შესახებ“ 2008 წლის 21 ნოემბრის კანონის 1-ლი მუხლის თანახმად; მას სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტითა (2 ეპიზოდი) და 238<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით (2 ეპიზოდი) სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით საბოლოოდ მიესაჯა 8 წლითა და 7 თვით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა 2 ათასი ლარის ოდენობით. თ. ქ-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2008 წლის 28 სექტემბრიდან.

განაჩენი გაასაჩივრეს პროკურორმა ი. ჩ-მემ და მსჯავრდებულის ადვოკატმა ლ. გ-შვილმა.

სააპელაციო საჩივრით პროკურორმა ითხოვა თ. ქ-შვილის დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებით, 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 238<sup>1</sup> მუხლის 1-ლი ნაწილით (3 ეპიზოდი) და სსკ-ის 88-ე მუხლის გამოყენებით სასჯელის ზომად 10 წლით თავისუფლების აღკვეთისა და 6 ათასი ლარი ჯარიმის განსაზღვრა, ხოლო ადვოკატმა ლ. გ-შვილმა - მსჯავრდებულისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება, ამ სასჯელის ერთი მესამედის პირობითად ჩათვლა და ჯარიმის გადახდისაგან განთავისუფლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - პროკურორი თ. ნ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო პალატის განაჩენი თ. ქ-შვილის 2008 წლის 26 მაისის ეპიზოდში გამართლების ნაწილში უნდა გაუქმდეს და საქმე ამ ნაწილში დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს ხელახლა განსახილველად შემდეგ გარემოებათა გამო:

სასამართლომ უსაფუძვლოდ არ გაიზიარა პოლიციის მუშაკების - გ. ხ-შვილისა და ზ. ჩ-შვილის თანმიმდევრული და დეტალური ჩვენებები; მათ ჩვენებებს სრულად ემთხვეოდა დაზარალებულ კ. ჯ-შვილის ჩვენება და თ. ქ-შვილის მონათხრობიც; სწორედ მსჯავრდებულის განმარტების (და არა - ოპერატიული ინფორმაციის) საფუძველზე ამოიღეს პოლიციელებმა მოპარული სარკეები თბილისში, ჯანჯღავას ქუჩაზე არსებული მილებიდან. ამოღებული სარკეები ამოიცნო დაზარალებულმა და ისინი გამომძიებელმა ცნო ნივთმტკიცებად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი ითხოვს განაჩენის გაუქმებას 2008 წლის 26 მაისის ეპიზოდში თ. ქ-შვილის გამართლების ნაწილში და ამ ნაწილში საქმის დაბრუნებას თბილისის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

სსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებული განაჩენი გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

თ. ქ-შვილის მიერ ვ. კ-ძესა და კ. ბ-შვილზე ყაჩაღური თავდასხმების ჩადენა უტყუარდაა დადასტურებული კანონის მოთხოვნათა დაცვით შეკრებილი და გამოკვლეული მტკიცებულებებით. ამ დანაშაულთა ჩადენას მსჯავრდებულები არ უარყოფს.

რაც შეეხება ბრალდების მესამე ეპიზოდს, რომელშიც თ. ქ-შვილი გამართლდა, საქმის მასალებით ირკვევა, რომ დაზარალებულ კ. ჯ-შვილის ავტომანქანას არ ჰქონდა უკანა ხედვის სარკეები და ისინი თ. ქ-შვილის მითითებით აღმოაჩინეს და ამოიღეს პოლიციელებმა.

მოწმებმა - გ. ხ-შვილმა, რ. ჯ-შვილმა და ზ. ჩ-შვილმა სასამართლოში განმარტეს, რომ პოლიციის განყოფილებაში გამოცხადებულმა თ. ქ-შვილმა დაწვრილებით აღწერა, როგორ განახორციელა ყაჩაღური თავდასხმა და სად გადამალა გატაცებული სარკეები, რომლებიც ამოიღეს სწორედ თ. ქ-შვილთან გასაუბრების შედეგად.

პირველი ინსტანციის სასამართლოში განსასჯელმა მიუთითა, რომ პოლიციის განყოფილებაში თავისი ნებით არ მისულა, იგი დააკავეს და მოსთხოვეს, დანაშაული ელიარებინა, მაგრამ არაფერი უთქვამს და გაათავისუფლეს. სააპელაციო სასამართლოში თ. ქ-შვილი მიუთითებს, რომ დააკავეს და "აიძულეს, ყველაფერი მოეყოლა". ამავე ჩვენებით, თ. ქ-შვილს არაფერი უთქვამს.

სააპელაციო პალატამ უცვლელად დატოვა განაჩენი თ. ქ-შვილის ბრალდების ერთ ეპიზოდში გამართლების ნაწილში, მაგრამ არ უმსჯელია და გაურკვეველია, როგორ შეიტყო პოლიციამ გატაცებული ავტომანქანის სარკეების ადგილსამყოფელი. აღნიშნული საკითხის გარკვევამდე შეუძლებელია ბრალდების ერთ ეპიზოდში თ. ქ-შვილის ბრალეულობის საკითხის დადგენა და მისი ქმედების სამართლებრივი შეფასება (თუკი დადგინდება თ. ქ-შვილის შემხებლობა კ. ჯ-შვილის მიმართ განხორციელებულ ყაჩაღობასთან).

აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუქმდეს და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს მისი გამომტანი სასამართლოს სხვა შემადგენლობას, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებები უნდა გამოიკვლიოს და შეაფასოს სრულად და ობიექტურად და მხოლოდ ყველა დადგენილი ფაქტობრივი გარემოების ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით მიიღოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი გადაწყვეტილება.

ამასთან, საკასაციო პალატის მიერ განმარტებულია, რომ ცივი იარაღის ტარება ერთიანი - დენადი დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება ქმედების შეწყვეტის მომენტიდან, რაც ამ ნივთის პირის მფლობელობიდან გასვლას (მაგ. ამოღებას) გულისხმობს. ამდენად, არასწორია თ. ქ-შვილის მიერ ერთი ან სხვადასხვა დანის ტარების ორი, ერთი და იგივე მუხლით დაკვალიფიცირება, რასაც ასევე ყურადღება უნდა მიექცეს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 568-ე მუხლით, 570-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

პროკურორ თ. ნ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 16 ნოემბრის განაჩენი თ. ქ-შვილის მიმართ და საქმე ხელახლა განსახილველად გაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



განაჩენის გაუქმება და საქმის დაბრუნება სასამართლო განხილვისათვის საკასაციო ინსტანციის სასამართლოს მითითებებით

განჩინება

#535-აპ-10

16 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. თ-ს დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენზე.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. თ-ე ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენით ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე მუხლისა და იმავე კოდექსის მე-19 მუხლისა და 109-ე მუხლის მესამე ნაწილის "ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 17 წლის ვადით.

განაჩენით გ. თ-ს მსჯავრი დაედო განზრახ მკვლელობის, აგრეთვე დამამძიმებელ გარემოებაში, კერძოდ, ორი პირის განზრახ მკვლელობის მცდელობის ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

2008 წლის 19 ნოემბერს, დაახლოებით 00 საათსა და 30 წუთზე, გ. თ-ე იმყოფებოდა ქ. . . . , ასათიანის ქ. #... -ში მდებარე დ. ზ-ს კუთვნილ პოკერკლუბში. იმავდროულად ამ კლუბში იმყოფებოდნენ ი. ჩ-ი, გ. ბ-ე, ა. დ-ე და მ. ზ-ე, რომელთაგან იგი იცნობდა მხოლოდ ი. ჩ-ს. დაახლოებით 10-15 წუთის თამაშის შემდეგ გ. თ-მ მოიგო 50 ლარი და ოპერატორს ანაზღაურებინა თანხა, საიდანაც 30 ლარი შეინახა საფულეში, ხოლო 20 ლარით ისევ განაგრძო თამაში. ამ მომენტიდან 1-2 წუთში ი. ჩ-ი გავიდა გარეთ და თან გაიხმო გ. თ-ე, რომელიც ნებაყოფლობით გაჰყვა მას გარეთ, კლუბის შესასვლელთან, სადაც ი. ჩ-მა მას მოსთხოვა მისგან ადრე ნასესხები 5 ლარის დაბრუნება. გ. თ-მ დაუბრუნა ხსენებული თანხა, რის შემდეგაც კლუბიდან გარეთ გამოვიდა. ამ დროს მათთან მივიდა ა. დ-ე, რომელმაც გ. თ-ს სთხოვა შესაძლებლობის ფარგლებში მისთვის ესესხებინა ფული, რაზედაც გ. თ-საგან უარი მიიღო. ამის გამო მათ შორის წარმოიშვა ურთიერთშელაპარაკება. შეამჩნია რა, რომ დაწყებული კამათი ჩხუბში გადაიზრდებოდა, ი. ჩ-ი შევიდა პოკერკლუბში და გარეთ გამოიხმო იქ მყოფი გ. ბ-ე და მ. ზ-ე. მათი გარეთ გამოსვლის შემდეგ გ. თ-ე და ა. დ-ე კამათს აგრძელებდნენ ასათიანისა და გიორგი მაზნიაშვილის ქუჩების გადაკვეთაზე. ი. ჩ-ი, გ. ბ-ე და მ. ზ-ე გაემართნენ მათი მიმართულებით. ამ დროს გ. თ-მ მარჯვენა ხელით შარვლის ჯიბიდან ამოიღო საკეცი დანა, გაშალა იგი და განზრახ მოკვლის მიზნით რამდენჯერმე მოუქნია ა. დ-ს, რის შედეგადაც მას მუცლის არეში, მარცხენა მხარეს, მიაყენა სხეულის მძიმე, სიცოცხლისათვის სახიფათო ნაჩხვლეტ-ნაკვეთი ჭრილობა - შემავალი მუცლის ღრუში, ელენთის დაზიანებით, აგრეთვე - ნაკვეთი ჭრილობა მარჯვენა ხელის ხელის მტევნის მე-5 თითზე, ხოლო მკვრივი, ბლაგვი საგნით ხელის მარჯვენა მტევნის მე-4 თითზე მიაყენა დაზიანება ნაჭდების სახით. ამ დროისათვის ა. დ-ს დასახმარებლად მივიდნენ მ. ზ-ე და გ. ბ-ე. ეს უკანასკნელი მივიდა დაჭრილი ა. დ-ს წასაყვანად, რა დროსაც, გაუჩნდა რა ორზე მეტი პირის მოკვლის განზრახვა, გ. თ-მ რამდენჯერმე მოუქნია დანა გ. ბ-ს და ერთ-ერთი დარტყმის შედეგად გულმკერდის არეში, მარცხენა ნახევარში, მე-6 და მე-7 ნეკნების დონეზე, უკანა აქსილარულ ხაზზე მას მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა. მანვე, გააგრძელა რა თავისი დანაშაულებრივი ქმედება, ხსენებული დანა რამდენჯერმე მოუქნია მ. ზ-საც, რომელსაც ერთ-ერთი დარტყმის შედეგად მარჯვენა ბარძაყის ქვემო მესამედში, გარეთა ზედაპირზე, მიაყენა 1 სმ სიგრძის ნაკვეთი ჭრილობა და შემთხვევის ადგილიდან მიიძალა. ა. დ-ე და გ. ბ-ე გადაიყვანეს ქ. ბათუმის # 1 საავადმყოფოში, სადაც მათ ჩაუტარდათ გადაუდებელი პირველადი სამედიცინო დახმარება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ა. დ-ე მიყენებული სხეულის დაზიანებების შედეგად 2008 წლის 19 ნოემბერს საავადმყოფოში გარდაიცვალა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ გ. თ-ს ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - დ. ჩ-მა და გ. ჩ-მ, რომლებიც თავიანთი საჩივრით ითხოვდნენ გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებასა და გ. თ-ს მიმართ გამამართლებელი განაჩენის გამოტანას შემდეგი ძირითადი მოტივების საფუძველზე: სასამართლომ არ შეაფასა მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები,

რომლებიც გამოიკვეთა სასამართლო გამოძიებით, კერძოდ: აწ გარდაცვლილი ა. დ-ე, აგრეთვე საქმეზე დაზარალებულად ცნობილი - გ. ბ-ე და მ. ზ-ე ბრალდების მოწმე ი. ჩ-სთან ერთად მომხდარი შემთხვევისას გ. თ-ს მიმართ ახორციელებდნენ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას - ყაჩაღობას, რა დროსაც მის მიმართ იყენებდნენ ჯანმრთელობისათვის საშიშ ძალადობას, რაც დასტურდება ობიექტური მოწმეების ჩვენებით, ასევე - აღნიშნული პირების მიერ მსჯავრდებულ გ. თ-ისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებითა და სათვალთვალო კამერის მეშვეობით გაკეთებული ვიდეოფირის ჩანაწერით, სადაც აშკარად ჩანს გ. თ-ს მიმართ ოთხი პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღნიშნული მტკიცებულებების ობიექტური შეფასების ნაცვლად სასამართლო განაჩენის დადგენისას დაეყრდნო მხოლოდ დაზარალებულად ცნობილი პირებისა და ბრალდების მოწმის აშკარად ცრუ და ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს, ხოლო ამავე დროს უსაფუძვლოდ უარყო გ. თ-ს ჩვენება, რომელიც ობიექტურად ასახავდა მომხდარი შემთხვევის გარემოებებს. სასამართლომ ასევე ყურადღების მიღმა დატოვა ის გარემოება, რომ ბრალდების მხარემ ფაქტობრივად ხელი დააფარა დაზარალებულებისა და ბრალდების მოწმის მიერ გ. თ-ს მიმართ ჩადენილ დანაშაულს, რითაც ხელი შეუშალა ჭეშმარიტების დადგენასა და რაც უდავოდ ადასტურებდა გ. თ-ს უდანაშაულობას. გარდა ამისა, სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საფუძვლიანი და დასაბუთებული შუამდგომლობები, რამაც საბოლოოდ განაპირობა უკანონო განაჩენის დადგენა.

დაცვის მხარის სააპელაციო საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტთა მოთხოვნა, 2010 წლის 8 აპრილის განაჩენით უცვლელად დატოვა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ გ. თ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ გ. თ-ს დამცველმა, ადვოკატმა გ. ჩ-მ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას, რომლითაც იმავე მოტივების საფუძველზე, რაზეც მითითებული იყო სააპელაციო საჩივარში, ითხოვს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ გ. თ-ს მიმართ სისხლის სამართლის საქმის იმავე სასამართლოში დაბრუნებას ხელახლა განსახილველად.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ გ. თ-ს მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. თ-ს ბრალდების საქმის განხილვისას და ამ საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილებების მიღებისას როგორც პირველი ინსტანციის სასამართლომ, ასევე სააპელაციო სასამართლომ არ დაიცვეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც უზრუნველყოფენ საქმის ფაქტობრივი გარემოებების უტყუარად დადგენასა და საბოლოოდ სწორი სამართლებრივი დასკვნების გამოტანას. მხედველობაშია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-10 მუხლის მე-3 ნაწილში, მე-18 მუხლში, მე-19 მუხლის მე-2 ნაწილში, 496-ე მუხლსა და 503-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული იმპერატიული მოთხოვნები, რომლებიც სასამართლოებმა არ შეასრულეს. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ აღნიშნული საქმის განხილვისას დაუშვა საქართველოს სსკ-ის 538-ე მუხლში მითითებული დარღვევები, რამაც მთლიანობაში ნეგატიური გავლენა მოახდინა საქმის შედეგზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო გამოძიება ჩატარდა სრული მოცულობით - დაიკითხნენ მსჯავრდებული და საქმეზე დაზარალებულად ცნობილი პირები, აგრეთვე - როთგორც ბრალდების, ისე დაცვის მოწმეები და ეს დაკითხვები ჩატარდა საკმაოდ დეტალურად და საფუძვლიანად. გარდა ამისა, სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეულ იქნა საქმეზე დართული ნივთიერი მტკიცებულებები, და დოკუმენტური მტკიცებულებები - სხვადასხვა სახის სასამართლო ექსპერტიზის დასკვნების სახით, რომლებიც საქმეში წარმოადგინეს ბრალდებისა და დაცვის მხარეებმა. მიუხედავად ამისა, სასამართლოებმა, არ დაიცვეს რა ზემოაღნიშნული საპროცესო მოთხოვნები, ჯეროვნად არ შეაფასეს საქმეში არსებული მტკიცებულებები, რის შედეგადაც ვერ დაიძლია და ვერ გადაწყდა ის აშკარა წინააღმდეგობები, რომლებიც არსებობდა, ერთი მხრივ, ბრალდებისა და დაცვის მტკიცებულებებს შორის, კერძოდ, დაზარალებულის, ბრალდების მოწმის ჩვენებებსა და დაცვის მოწმეთა ჩვენებებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ, თვით ბრალდების მტკიცებულებებს შორის, სახელდობრ, დაზარალებულების ჩვენებებს შორის, დაზარალებულთა და ბრალდების მოწმის (ი. ჩ-ს) ჩვენებებს შორის.

ამასთან ერთად, სასამართლოები თავიანთ მიერ გამოტანილ განაჩენებში შემოიფარგლნენ მხოლოდ ბრალდების მტკიცებულებების შინაარსის გადმოცემით მათ შორის არსებული წინააღმდეგობე-

ბის განალიზებისა და აღმოფხვრის გარეშე, ხოლო საქმეში არსებული დაცვის მტკიცებულებები საერთოდ ყურადღების მიღმა დატოვეს, თითქოსდა, ისინი არც არსებობდნენ, რის გამოც რეალურად ვერ დადგინდა მთელი რიგი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდათ საქმეზე სწორი, ობიექტური და მიუკერძოებელი გადაწყვეტილების მისაღებად. მაგალითად: არ არის სარწმუნოდ დადგენილი, რა ვითარება იყო დაზარალებულებსა და მსჯავრდებულს შორის კონფლიქტის მიმდინარეობისას, რის გასარკვევადაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა შემთხვევის ადგილზე სათვალთვალო კამერის მიერ დაფიქსირებულ ვიდეოფირის ჩანაწერს, რომელზეც ასახულია ამ კონფლიქტის გარკვეული მომენტები და რითაც სასამართლო კამათის დროს აპელირებდა როგორც ბრალდების მხარე, ისე დაცვის მხარე, სასამართლოები კი საერთოდ არც ახსენებენ აღნიშნულ ვიდეოფირს; სასამართლოები უარყოფენ მსჯავრდებულის ჩვენებას, რომელშიც ის მიუთითებს, რომ კონფლიქტის დროს მას, ძირს დაცემულს, ხელებითა და ფეხებით სცემდნენ დაზარალებულები, რის გამოც იძულებული გახდა, თავის დაცვის მიზნით დანა ამოეღო, მაშინ, როდესაც სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებში პირდაპირ არის მითითებული მსჯავრდებულ გ. თ-ისათვის მიყენებულ სხეულის დაზიანებებსა და ტვინის შერყევაზე, ხოლო განაჩენებში სასამართლოებს არა აქვთ ახსნილი, სად, როდის, ვისგან და რა ვითარებაში მიიღო ეს დაზიანებები გ. თ-მ; სასამართლოები ასევე გვერდს უვლიან შემდეგ მნიშვნელოვან გარემოებას: აწ გარდაცვლილმა ა. დ-მ და დაზარალებულებმა ნამდვილად განახორციელეს თუ არა რაიმე მართლსაწინააღმდეგო ქმედება გ. თ-ს მიმართ, ვინ იყო ჩხუბის დაწყების ინიციატორი და რა იყო კონფლიქტის ნამდვილი საფუძველი - რა მოტივებით ხელმძღვანელობდნენ კონფლიქტში მონაწილე მხარეები. აღნიშნული საკითხების გარკვევა და მათთან დაკავშირებული გარემოებების დადგენა ყოველად აუცილებელია თუნდაც იქიდან გამომდინარე, რომ სასამართლო კამათის დროს ამ მომენტზე საგანგებოდ ამახვილებდნენ ყურადღებას სახელმწიფო ბრალმძებელი და გ. თ-ს დამცველები, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო ვერსიებს ავითარებდნენ, სასამართლომ კი ამ საკითხებზე რატომღაც დუმილის პოზიცია აირჩია, რაც ამკარად ხელს უშლის საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

საკასაციო პალატას, რომელიც ნაწილობრივ იზიარებს საკასაციო საჩივარს, მიაჩნია, რომ ასეთ პირობებში, როდესაც სააპელაციო სასამართლოს განაჩენით გაურკვეველი და დაუდგენელია საქმესთან დაკავშირებული არსებითი მნიშვნელობის ფაქტობრივი გარემოებები, სრულად არ არის განალიზებული და შეფასებული საქმეში არსებული მტკიცებულებები, ხოლო მტკიცებულებებს შორის არსებული ამკარა წინააღმდეგობები არ არის გარკვეული და გადაწყვეტილი, შეუძლებელია კანონიერი დასკვნების გაკეთება და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მსჯავრდებულ გ. თ-ს ბრალისა თუ უდანაშაულობის თაობაზე, რის გამოც კასატორის მოთხოვნა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებისა და ხელახლა განსახილველად საქმის დაბრუნების ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სააპელაციო სასამართლომ მსჯავრდებულ გ. თ-ს ბრალდების საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას დაუშვა არსებითი საპროცესო დარღვევები, რამაც გავლენა მოახდინა დასაბუთებული და კანონიერი განაჩენის დადგენაზე და რაც, თანახმად საქართველოს სსკ-ის 562-ე მუხლის "ა" ქვეპუნქტისა და 563-ე მუხლის პირველი ნაწილისა, განაჩენის გაუქმების საფუძველს წარმოადგენს. აღნიშნული გარემოებების გამო, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენი გ. თ-ს მსჯავრდების თაობაზე უნდა გაუქმდეს, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სააპელაციო სასამართლოში ამ საქმის განხილვისას ახალმა სასამართლო შემადგენლობამ ზემოაღნიშნულ გარემოებათა გასარკვევად და დასადგენად მხარეთა მონაწილეობით ხელახლა უნდა გამოიკვლიოს ისეთი მნიშვნელოვანი მტკიცებულება, როგორცაა შემთხვევის ადგილზე ვიდეოთვალის მიერ გაკეთებული ვიდეოფირის ჩანაწერი, ხოლო გამოკვლევის შედეგები სათანადოდ უნდა აისახოს სასამართლოს სხდომის ოქმში, ვინაიდან, მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული ვიდეოფირი გამოკვლეულ იქნა, მაგრამ გამოკვლევის შედეგები არ არის ასახული არც სასამართლოს სხდომის ოქმში და არც - განაჩენში, რის გამოც აღნიშნული მტკიცებულების შეფასებას, მისი ხელახლა გამოკვლევისა და ამ გამოკვლევის შედეგების სათანადოდ დაფიქსირების გარეშე, სააპელაციო სასამართლო ვერ შეძლებს. საქმის ხელახლა განხილვისას და განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ ბრალდების მტკიცებულებების თანაბრად უნდა განიხილოს და შეაფასოს დაცვის მხარის მტკიცებულებები - დაცვის მოწმეთა ჩვენებები, აგრეთვე - სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნები მსჯავრდებულ გ. თ-ისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანებების თაობაზე. გარდა ამისა, სააპელაციო სასამართლომ კრიტიკულად უნდა შეაფასოს საქმეში არსებული ყველა მტკიცებულება, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი გამოძიების სტადიაზე და სასამართლო გამოძიებისას, ერთმანეთთან შეაჯეროს ისინი და გაარკვიოს არამართო ბრალ-

დებისა და დაცვის მტკიცებულებებს შორის, არამედ ასევე – თვით ბრალდების მტკიცებულებებს შორის არსებული წინააღმდეგობები; ამასთან, უნდა დაასაბუთოს, რომელ მტკიცებულებებს იზიარებს, რა საფუძველზე და რატომ არ იზიარებს საპირისპირო მტკიცებულებებს. ხელახალი სასამართლო განხილვისას სააპელაციო სასამართლომ, საპროცესო კანონით განსაზღვრულ ფარგლებში, უნდა ჩაატაროს სხვა საპროცესო მოქმედებები, რომლებიც აუცილებელია საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად, რა დროსაც ბრალდებისა და დაცვის მხარეები უნდა უზრუნველყოს თანაბარი პირობებით, რათა მათ სრულფასოვნად წარმოადგინონ და ამტკიცონ თავიანთი პოზიციები. საქმის განხილვისას და განაჩენის დადგენისას სააპელაციო სასამართლომ ერთნაირი გულმოდგინებით უნდა შეამოწმოს არამარტო გ. თ-ს მიმართ წარდგენილი ბრალდების საფუძველიანობა, არამედ ისიც, ქმედების ჩადენისას ხომ არ იმყოფებოდა იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ანდა მან ქმედება ხომ არ ჩადინა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით, ვინაიდან ასეთ შესაძლებლობათაგან არც ერთი მათგანი არ არის გამორიცხული. საკასაციო პალატის ამ მითითებების გათვალისწინებითა და მათი განუხრელად შესრულების გზით არის შესაძლებელი გ. თ-ს ბრალდების საქმეზე ჭეშმარიტების დადგენა და ამ საფუძველზე კანონიერი და დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების მიღება.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "ბ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

მსჯავრდებულ გ. თ-ს დამცველის, ადვოკატ გ. ჩ-ს საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 8 აპრილის განაჩენი გ. თ-ს მსჯავრდების თაობაზე, ხოლო სისხლის სამართლის საქმე მის მიმართ გადაეგზავნოს იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას ახალი განხილვისათვის. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. სასჯელის შეუსაბამობა მსჯავრდებულის ქმედების სიმძიმესთან და პიროვნებასთან**

#### **განჩინება**

#298-აპ-10

22 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:**

- ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეიშვილი,**
- პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ს-ის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 25 ნოემბრის განაჩენით გ. ა-ი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) და 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით. გ. ა-ს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-2 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

გ. ა-ს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 თვის ვადით, ხოლო სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 8 თვის ვადით, რაც საქართველოს სსკ-ის

88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად შეუმცირდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 წლისა და 3 თვის ვადით; სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 10 წლის ვადით, რაც, საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდა და განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლისა და 6 თვის ვადით.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, დანიშნული სასჯელები შეიკრიბა სრულად და საბოლოოდ გ. ა-ს სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლისა და 6 თვის ვადით.

გ. ა-ს სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო 2008 წლის 15 ივნისიდან.

გ. ა-ს განაჩენით მსჯავრი დაედო შემდეგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენისათვის:

2006 წლის 26 ივლისს, დაახლოებით 16 საათსა და 25 წუთზე, გ. ა-ი გამოძიებით დაუდგენელ 2 პირთან ერთად, რომელთაგან ერთ-ერთი შეიარაღებული იყო დაუდგენელი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით, მივიდა თბილისში, მდებარე ქ. მ-ის საცხოვრებელ ბინაში. გ. ა-მა მოტყუებით გააღებინა ბინის კარი დაზარალებულს, ბინაში შესვლისთანავე, ჰოლში, ძალის გამოყენებით წააქცია იგი და ცდილობდა მისთვის პირში ჩაეჩარა ცხვირსახოცი, თან უყვიროდა, რომ ხმა არ ამოედო და მიეცა მისთვის ფული და ოქრო. ქ. მ-ი ყვიროდა და ითხოვდა შველას. ხმაური გაიგო სამზარეულოში მყოფმა მისმა შვილმა ვ. გ-ემ, რომელიც იმ დროს სამზარეულოს დანით ჭრიდა პურს. იგი გამოვიდა ჰოლში დანით ხელში, რათა მიშველებოდა დედას, რომელიც წაქცეული ჰყავდა გ. ა-ს. ვ. გ-ემ გ. ა-ს მარცხენა ბეჭის არეში ჩაარტყა ზემოაღნიშნული დანა. ერთ-ერთმა თანამზარეულმა, რომელიც შეიარაღებული იყო დაუდგენელი ტიპის ცეცხლსასროლი იარაღით, გაისროლა ვ. გ-ის მიმართულებით, რის შემდეგაც თავდამსხმელებმა დატოვეს ბინა და სირბილით დაემშენ კიბეზე. გაქცევისას მოიხსნეს ნიღბები და მოისროლეს მე-14 სართულის კიბეებზე, თვითონ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ჯ-ემ, რომელმაც მოითხოვა გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი და გასაჩივრებული განაჩენი გ. ა-ის მიმართ დარჩა უცვლელად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ გ. ა-ის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ს-მა.

კასატორმა საჩივრით ითხოვა გასაჩივრებული განაჩენის გაუქმება და გ. ა-ის გამართლება. კასატორი ალტერნატიული მოთხოვნის სახით ითხოვს მსჯავრდებულ გ. ა-ის მიმართ დანიშნული სასჯელის შემსუბუქებას იმ თვალსაზრისით, რომ მსჯავრდებული არის არასრულწლოვანი, ხასიათდება დადებითად და წარსულში არ არის ნასამართლევნი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა არ ეთანხმება საკასაციო საჩივრის მოთხოვნას განაჩენის გაუქმებისა და მსჯავრდებულ გ. ა-ის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენის შესახებ, უსაფუძვლოდის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. განაჩენით მსჯავრდებულისათვის შერაცხული ბრალდება არავითარ ეჭვს არ იწვევს. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით: მოწმეების - გ. ბ-ის, კ. შ-ის, დ. ვ-ის, გ. გ-ის ჩვენებით, საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს ბალისტიკური ექსპერტიზის #. . დასკვნით, დაზარალებულების - ქ. მ-ისა და ვ. გ-ის ჩვენებით, ფოტოსურათით ამოცნობის ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმეზე შეკრებილი სხვა მტკიცებულებებით გ. ა-ის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულის პიროვნებას, რომ იგი დანაშაულის ჩადენისას იყო არასრულწლოვანი, ნასამართლობის არ მქონეა, ახასიათებენ დადებითად და მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი, მე-2 ნაწილებით დანაშაულის ჩადენის გარემოებე-

ბის გათვალისწინებით, მსჯავრდებულ გ. ა-ის მიმართ ამ დანაშაულისათვის დანიშნული სასჯელი არის მეტისმეტად მკაცრი, რაც, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 562-ე მუხლის "გ" ქვეპუნქტისა და 565-ე მუხლის თანახმად, განაჩენის შეცვლის საფუძველს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. ა-ის სასიკეთოდ, კერძოდ: საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს 6 თვით და შეეფარდოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ასევე უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 4 თვითა და 15 დღით; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა - უნდა შეუმცირდეს 10 თვით და შეეფარდოს 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ასევე უნდა შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 7 თვითა და 15 დღით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) დანიშნული სასჯელები უნდა შეიკრიბოს და საბოლოოდ გ. ა-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

#### **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მსჯავრდებულ გ. ა-ის ინტერესების დამცველის, ადვოკატ გ. ს-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2010 წლის 10 თებერვლის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ:

მსჯავრდებულ გ. ა-ს საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 6 თვით და შეეფარდოს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 4 თვითა და 15 დღით; სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) დანიშნული სასჯელი - 1 წლითა და 8 თვით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 10 თვით და შეეფარდოს 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსკ-ის 88-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შეუმცირდეს ერთი მეოთხედით და განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა - 7 თვითა და 15 დღით;

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის თანახმად, საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მე-3 ნაწილის "ბ" ქვეპუნქტით, სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით (2005 წლის სსკ-ის რედაქციით) დანიშნული სასჯელები შეიკრიბოს და საბოლოოდ გ. ა-ს სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლისა და 6 თვის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.